გაზეთი ბეჭდავს, „ეროვნული ენერგია"

ვერსია

№116 (872) 6 - 7 ნოემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მხოლოდ 40 თეთრი

პური გაძვირდება?!

„რუსეთიდან იმპორტირებული ხორბლის ფასი ორი მიზეზით გაიზარდა – მსოფლიო ბაზარზე ხორბალი გაძვირდა და ფოთის პორტში მაღალი ტარიფებია"

გვ. 3

„რესპუბლიკური პარტიის გავლენა კოალიციაში უფრო უნდა გაიზარდოს"

რესპუბლიკური პარტიის ახალი თავმჯდომარის, ხათუნა სამნიძის პოლიტიკური ბეგრაუნდი და მიზნები

გვ. 4

„მე და ჩემი ძმა დამოუკიდებელი ადამიანები ვართ და პოლიტიკურ შეხედულებებს ერთმანეთს თავს არ ვახვევთ"

რას გააკეთებს ახალი პრეზიდენტის აპარატში ნაციონალის ძმა და როგორ დასაჯა ვანო მაჭავარიანი ნიკა გიღაურმა

გვ. 7

ექსკლუზიური ინტერვიუ გენერალ კობა კობალაძესთან

ვის კაბინეტში დაიგეგმა საქართველოს ტერიტორიების რუსეთისთვის გადაცემა და რატომ უნდა დაიხვეწოს სამხედრო კონცეფცია

გვ. 5

სიახლეები 2014 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე

შეუქმნის თუ არა პრობლემას აბიტურიენტებს უცხო ენის გამოცდაზე მოსმენითი ნაწილის დამატება

გვ. 6



პრეზიდენტი პატიმრებს ველარ შეინყალებს?

პრეზიდენტი პატიმრებს ვლარ შეიწყალებს?

განიხილავს თუ არა პარლამენტი ომბუდსმენის ინიციატივას

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

სააკაშვილი პატარა ბავშვივით იქცევა, წასვლის წინ ცდილობს, ყველა „სათამაშო“ გააფუჭოს და მარგველაშვილს არ დაუტოვოს — პრეზიდენტის ბოლოდროინდელი ქმედებები, ხელისუფლების წარმომადგენლებმა, დაახლოებით, ამგვარად შეაფასეს, თუმცა უფრო მკაცრი შეფასებებიც მოვისმინეთ. მაგალითად, რესპუბლიკელმა თინა ხიდაშელმა განაცხადა, **„სააკაშვილმა უარი ვერ თქვა იმ ბოროტებაზე, რომელსაც ემსახურა 9 წელი და თავად დააჭედა საბოლოო ლურსმანი თავისივე პოლიტიკურ კუბოს“.**

„ბოლო ლურსმანი“, ხიდაშელის ლოგიკით, პრეზიდენტის მიერ ბაჩო ახალაიას შეწყალების გადაწყვეტილება იყო, მასთან ერთად კი სააკაშვილმა ახალაიასთან ერთად მსჯავრდებული პირი რევაზ ჭარბაძეც შეიწყალა და საქართველოს თავდაცვისუნარიანობაში შეტანილი წვლილისთვის ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენითაც დააჯილდოვა. პრეზიდენტის ამგვარი საქციელი ხელისუფლებაში არავის გაკვირვებია, მეტიც — თინათინ ხიდაშელი აცხადებს, რომ ისიც კი არ გაუკვირდება, თუ სააკაშვილი რაღაც ხრიკს მიმართავს და წასვლამდე, სასჯელმიუსჯელ ვანო მერაბიშვილსაც შეიწყალებს.

ბაჩო ახალაიას შეწყალების აქტი სასჯელაღსრულების სამინისტროში უკვე შევიდა. მინისტრ სოზარ სუბარის განმარტებით, ახალაიას კონკრეტულ, ციხის ბუნტის ეპიზოდში მოეხსნა სასჯელი და გათავისუფლდა, თუმცა სხვა საქმესთან დაკავშირებით, კვლავ საპატიმროში რჩება. მიუხედავად ამისა, ახალაიას შეწყალება სახალხო დამცველ **უჩა ნანუაშვილის** ახალი ინიციატივის საფუძველი გახდა — ომბუდსმენის აზრით, კარგი იქნება, თუ პრეზიდენტს კონსტიტუციით გათვალისწინებული პრივილეგია შეეზღუდება. ნანუაშვილის თქმით, ყველა კატეგორიის მსჯავრდებულის შეწყალებასთან დაკავშირებით, პრეზიდენტის უფლებამოსილება უნდა გადაიხედოს და იმ პატიმართა შეწყალების ფორმა და მიდგომა განსხვავებული უნდა იყოს, რომლებიც თავს უდანაშაულოდ მიიჩნევენ: **„ნებისმიერი შეწყალების აქტი უნდა გამომდინარეობდეს, რა თქმა უნდა, ჰუმანურობის პრინციპიდან, მაგრამ უნდა ექცეოდეს გარკვეულ ჩარჩოებში. როცა პატიმარი დანაშაულს არ აღიარებს, მისი შეწყალების საკითხი სხვა კრიტერიუმით უნდა განისაზღვროს“.**

შესაბამისი კანონის რეგულაციას, ომბუდსმენთან ერთად, არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილიც ემხრობა; მაგალითად, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელი **კახა კოჟორიძე** აცხადებს, რომ პრეზიდენტს, ამ მხრივ, განუსაზღვრელი უფლებამოსილება მართლაც არ უნდა ჰქონდეს: **„2005 წელს პრეზიდენტმა მისივე ბრძანებულებაში შეიტანა ცვლილება და ფაქტობრივად, განუსაზღვრელი უფლებამოსილება მიინიჭა. თქვა, მე შემიძლია ყველას შეწყალება მიუხედავად კრიტერიუმისა, შემიძლია ყველა გამოვუშვა, როცა გამიხარდება მაშინ. ასეთი ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს და ეს საკითხი, რა თქმა უნდა, გადასახედია“.**

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზვიად ძიძიგური კი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის მიერ შეწყალებასთან დაკავშირებით კანონმდებლობის შეცვლა საჭირო არ უნდა იყოს, რადგან იმედი აქვს, რომ სააკაშვილი ამ მხრივ გამონაკლისია და საქართველოს მომავალი პირველი პირები გადაწყვეტილებებს მხოლოდ ქვეყნისა და საქართველოს მოქალაქეების ინტერესებიდან გამომდინარე მიიღებენ.

მიუხედავად ამისა, არაა გამორიცხული, პარლამენტმა ომბუდსმენ ნანუაშვილის მოსაზრება განიხილოს. საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, დავით ბერძენიშვილის თქმით, საკანონმდებლო ორგანო დაელოდება, **უჩა ნანუაშვილის** მოსაზრება მიიღებს თუ არა საკანონმდებლო ინიციატივის სახეს: **„სახალხო დამცველის პოზიცია მნიშვნელოვანია ამ საკითხთან დაკავშირებით და ეს მისი უშუალო პრეროგატივაა. ერთის მხრივ, შეწყალება, პრეზიდენტის უპირობო უფლებაა და როგორც ჩანს, ამ საქმეს გარკვეული საკანონმდებლო გადახედვა სჭირდება. სრულიად ნათელია, რომ შეწყალებასთან დაკავშირებით პრეზიდენტის გადაწყვეტილებები წასვლის წინა დღეებში გამოკვეთილი პოლიტიკური მიზანშეწონილობითაა განპირობებული. ვნახოთ, ომბუდსმენის ეს განცხადება იქცევა თუ არა საკანონმდებლო ინიციატივად. ამის მიხედვით იმსჯელებს პარლამენტი და გადაწყვეტილებასაც მიიღებს“.**

უმრავლესობის წევრი **ვახტანგ ხმალაძე** მიიჩნევს, რომ კანონმა უნდა განსაზღვროს არეალი, რომლის ფარგლებშიც პრეზიდენტი პატიმრების შეწყალების უფლებას გამოიყენებს. **„პატიმართა შეწყალება ჰუმანური აქტია, მაგრამ არ შეიძლება, ეს ჰუმანური გადაწყვეტილება საზოგადოების ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს — ასეთი გადაწყვეტილების მიღება, ნებისმიერ შემთხვევაში, ერთი პირის შეხედულებისამებრ არ უნდა ხდებოდეს“.**

გუნდის წევრებისა და სახალხო დამცველის მოსაზრებას არ იზიარებს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**. მისი თქმით, ამ ინიციატივის განხორციელების შედეგად, გარკვეულწილად, პატიმრების კლასიფიკაცია მოხდება, რაც დაუშვებელია, სამაგიეროდ, უნდა დაიხვეწოს პროცედურა, თუ როგორ მოხვდეს პრეზიდენტის მაგიდაზე ხელმოსაწერად შეწყალების ესა თუ ის აქტი: **„ზოგადად, შეწყალების ინსტიტუტი ისევე, როგორც საპატიმროებში სასჯელის მოხდის მიმდინარეობა, რეფორმას საჭიროებს. არ ვფიქრობ, რომ პატიმრები კატეგორიებად უნდა დაიყოს — ზოგიერთის შეწყალება შეეძლოს პრეზიდენტს და ზოგის არა... ჩემი აზრით, პრეზიდენტს ყველა პატიმრის შეწყალება უნდა შეეძლოს და ეს პრობლემა არაა, მაგრამ თვითონ პროცედურა უნდა დაიხვეწოს, გადაიხედოს და გამჭვირვალე გახდეს საზოგადოებისთვის. შესაბამისი კომისია ახალ პროცედურებს უნდა დაექვემდებაროს და პრეზიდენტს მიეწოდოს მხოლოდ იმ პატიმრების საქმეები, რომლებიც ნამდვილად იმსახურებენ შეწყალებას. მთავარია, რომ უკვე ავირჩიეთ გონიერი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პრეზიდენტი და მის პირობებში გამორიცხულია იმგვარი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები, როგორიც ბაჩო ახალაიას შემთხვევაში ვიხილეთ“.**

ომბუდსმენის ინიციატივამ ნაციონალური მოძრაობის უკმაყოფილება გამოიწვია. მათი თქმით, მომავალ პრეზიდენტს ისედაც შეკვეცილი აქვს უფლებები და დამატებითი შეზღუდვების დაწესება საჭირო აღარაა. საპარლამენტო უმცირესობის წევრის, **ნუგზარ წიკლაურის** თქმით, **„ისედაც მცირეუფლებიან პრეზიდენტს, როგორიც მარგველაშვილია, რატომ უნდა შეეზღუდოს ეს უფლება. თუ კანონს წარმოადგენენ, გავეცნობით მოტივს, მაგრამ პრინციპულად ვეწინააღმდეგები, პრეზიდენტი ისეთ თოჯინად გადავაქციოთ, რომელსაც არავინ არაფერს ეკითხება. ის ფაქტი რად ღირს, რომ პირველი ლედიც კი არ არის მისთვის პირველი ლედი და ამიტომ არ მგონია, დამატებითი უფლებამოსილებები უნდა შევუზღუდოთ“.**

მიიღებს თუ არა უჩა ნანუაშვილის ინიციატივა საკანონმდებლო ფორმას და განიხილავს თუ არა მას პარლამენტი, უახლოეს მომავალში ვიხილავთ, მანამდე კი საკანონმდებლო ორგანოში საქართველოს პირველი პირის კიდევ ერთი უფლების შეზღუდვის იდეა დაიბადა — შესაძლოა, პრეზიდენტს ჩამოერთვას უფლება — განსაკუთრებულ შემთხვევებში, კანონით დადგენილი პირობების გაუთვალისწინებლად, მიანიჭოს პირებს საქართველოს მოქალაქეობა.

„მოქალაქეობის შესახებ“ კანონში შესაბამისი ცვლილებების საჭიროებაზე უმრავლესობის წარმომადგენელი ვახტანგ ხმალაძე საუბრობს, რომელიც პრეზიდენტის ამ დისკრეციული უფლების კანონით „შებოჭვის“ საჭიროებას ხედავს. ხმალაძის განმარტებით, **„კონსტიტუციასა და „მოქალაქეობის შესახებ“ კანონში გაწერილია, რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს პირი, რომ პრეზიდენტმა საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭოს. პირობები კარგადაა ჩამოყალიბებული, მაგრამ აქვეა ნორმა, რომელიც ამბობს, რომ პრეზიდენტი უფლებამოსილია, განსაკუთრებულ შემთხვევებში, კანონით დადგენილი პირობების გაუთვალისწინებლად, პირს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭოს. ეს ნორმა შესაცვლელია და მას ყურადღება მას შემდეგ მიექცა, რაც მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე ასეულ ადამიანს მოქალაქეობა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიანიჭა“.**

მიხეილ სააკაშვილი 17 ნოემბრამდე კვლავ ქვეყნის პირველი პირია. წასვლამდე კიდევ რას მოიმოქმედებს პრეზიდენტი, არავინ იცის. შესაბამისად, ისიც უცნობია, საკუთარი „ბავშვური ქმედებებით“ კიდევ რა ინიციატივების წამოყენებისკენ უბიძგებს პოლიტიკოსებს. არაა გამორიცხული, ქვეყნის მმართველის „შესაკვეცი უფლებების“ სია კიდევ გაიზარდოს და საბოლოოდ, მხოლოდ უფუნქციო პრეზიდენტი მივიღოთ.

პრეზიდენტის ინაუგურაციას რუსული დელეგაცია არ დაესწრება

საგარეო საქმეთა მინისტრის, მაია ფანჯიკიძის ინფორმაციით, ინაუგურაციისადმი მიძღვნილი ღონისძიებები თბილისში ოთხ ადგილას გაიმართება: პარლამენტის შიდა ეზოში, გმირთა მოედანზე, რუსთაველის თეატრში საზეიმო კონცერტი და უცხოელი სტუმრების მიღება: **„27 ოქტომბერს საქართველომ ნამდვილი ევროპული სტანდარტის არჩევნები ჩაატარა და შესაბამისად, ინაუგურაციაც ევროპული სტანდარტის იქნება. ევროპის დიდ ქვეყნებშიც კი ინაუგურაცია პარლამენტის შენობის სხდომათა დარბაზში ხშირად იმართება, მაგრამ თბილისში ამის საშუალება არ გვაქვს, ამიტომ ვიპოვეთ ოპტიმალური ვარიანტი, რათა ინაუგურაცია იყოს სადა და რაც მთავარია, დიდი თანხა არ დაიხარჯოს. ამ ფონზე, გადავწყვიტეთ, ინაუგურაცია თბილისის პარლამენტის შიდა ეზოში ჩატარდეს, რაც თავიდან აგვაცილებს რუსთაველის გამზირის რამდენიმე დღით გადაკეტვას. გარდა ამ ღონისძიებისა, რომელიც აუცილებლად იქნება დატვირთული სამხედრო კომპონენტით, შესრულდება საქართველოს ჰიმნი, აღიმართება დროშა, ჩატარდება სხვა რიტუალები, პატარა ცერემონიალი გმირთა მოედანზე გაიმართება, სადაც ფიცის დადების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი გმირებს პატივს მიაგებს. გარდა ამისა, სავარაუდოდ, რუსთაველის თეატრში საზეიმო კონცერტი და უცხოელი სტუმრების მიღება გაიმართება. საზეიმო კონცერტზე არ იქნება არც ერთი მოწვეული შემსრულებელი“.**

რაც შეეხება სამხედრო კომპონენტს, მინისტრის თქმით, ღონისძიებაზე არც მძიმე ტექნიკა იქნება და არც ავიაცია. „მხოლოდ პირად შემადგენლობას წარმოადგენენ“.

ფანჯიკიძისვე განცხადებით, საზღვარგარეთ 70-მდე მოსაწვევია გაგზავნილი. ინაუგურაციაზე დაპატიჟებულები არიან სახელმწიფოების მეთაურები, მთავრობის მეთაურები, საგარეო საქმეთა მინისტრები, პარლამენტის თავმჯდომარეები. სავარაუდოდ, მომავალი კვირის დასაწყისში, უკვე გახდება ცნობილი, კონკრეტულად, ვინ დაესწრება საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციას, თუმცა უკვე გარკვეულია ღონისძიებას არ დაესწრება რუსული დელეგაცია, რადგან ამ ქვეყანასთან საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები არ აქვს. ინაუგურაციაზე მოწვეულნი არიან საქართველოს პრეზიდენტები მიხეილ სააკაშვილი და ედუარდ შევარდნაძე, ასევე პარლამენტის სრული შემადგენლობა. მინისტრი ვარაუდობს, რომ ინაუგურაციისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ხანგრძლიობა 13:00-დან 18:00 სთ-მდე გასტანს.

„პირველი“

ავლაბრის რეზიდენციაში ქართულ-ამერიკული ტექნოლოგიური უნივერსიტეტი განთავსდება

„განათლების მინისტრთან შეთანხმების საფუძველზე, პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში, ქართულ-ამერიკული ტექნოლოგიური უნივერსიტეტი განთავსდება“, — ინფორმაცია ამის შესახებ ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა გაავრცელა. მისი თქმით, უნივერსიტეტი გაისად გაიხსნება. რაც შეეხება ახალი პრეზიდენტის ადმინისტრაციას, მარგველაშვილი სახელმწიფო კანცელარიაში იმუშავებს: **„არ ვარ მომხრე, რომ პრეზიდენტის რეზიდენცია იყოს ასეთი დიდი მოცულობის და ვფიქრობ, თანხა, რომელიც ავლაბრის რეზიდენციის მშენებლობაზე დაიხარჯა, ისევ ხალხს უნდა დაუბრუნდეს. პოლიტსაბჭოზე წამოვაყენე წინადადება, იქ განთავსდეს უნივერსიტეტი, შემდეგ ვესაუბრე მინისტრს. ჩამოვყალიბდით, რომ ეს უნდა იყოს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, რომელიც მომავალი წლიდან გაიხსნება“.**

მისივე შეფასებით, ტექნოლოგიური უნივერსიტეტის გახსნა უაღრესად საინტერესო პროექტია, რომელიც საქართველოს მაღალი ხარისხის განათლებას მოუტანს.

„პირველი“

პური გაძვირდება?!

„რუსეთიდან იმპორტირებული ხორბლის ფასი ორი მიზეზით გაიზარდა – მსოფლიო ბაზარზე ხორბალი გაძვირდა და ფოთის პორტში მაღალი ტარიფებია“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რუსეთიდან იმპორტირებული ხორბალი უკვე გაძვირდა. ფოთის პორტში ტრანსპორტირებული 1 ტონა ხორბლის ფასი 25 აშშ დოლარით გაიზარდა და 305 აშშ დოლარი გახდა. ტრეიდერი კომპანია „აგრიკომის“ ხელმძღვანელების განცხადებით, ხორბლის გაძვირება ფქვილზეც აისახება, სავარაუდოდ, 1 ტომარა ფქვილის ფასი 2 ლარით გაიზრდება და 40 ლარი გახდება, საბოლოოდ კი, ხორბლისა და ფქვილის გაძვირებას, პურის გაძვირებაც მოჰყვება. რა ვითარებაა ქვეყანაში, აქვს თუ არა სახელმწიფოს საკმარისი მარაგი, რომ რუსეთიდან იმპორტირებული ხორბლის ფასის ზრდის მიუხედავად, პური არ გაძვირდეს?

ტრეიდერი კომპანია „აგრიკომის“ დირექტორმა, **ძეთევან კუბლაშვილმა** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ რუსეთიდან იმპორტირებული ხორბლის ფასმა დინამიკაში, ბოლო ერთ თვეში მოიმატა, ხორბლის გაძვირება ფქვილის ფასსაც გაზრდის, მაგრამ უმნიშვნელოდ: **„რა თქმა უნდა, ხორბლის გაძვირებას ფქვილის ფასის ზრდაც მოჰყვება, მაგრამ ეს 100%-იანი ზრდა არ იქნება. საქართველოს ბაზარზე ფქვილის ძირითადი მწარმოებელი აზერბაიჯანელი მეწარმე ასაბელ კასუმოვია, რომელიც ბაზარს იმდენად დაბალ ფასს კარნახობს, რომ ფქვილი უმნიშვნელოდ გაძვირდება. რაც შეეხება რუსეთიდან იმპორტირებულ ხორბალს, ვფიქრობ, ფასის ზრდა მომავალშიც გაგრძელდება. სავარაუდოდ, წლის ბოლომდე, 1 ტონა ხორბალი 4-5 აშშ დოლარით კიდევ გაძვირდება, მაგრამ წლის ბოლოს ხორბლის ფასი ბაზარზე დასტაბილურდება“.**

ქეთევან კუბლაშვილის თქმით, ხორბლისა და ფქვილის გაძვირება პურსაც გააძვირებს, მაგრამ უმნიშვნელოდ, რადგან ზოგადად, საქართველოს ბაზარზე, ხორბლის ფასის ზრდა, ფქვილს ან პურს ადეკვატურად არ აძვირებს. ეს ტენდენცია უფრო აშკარა მაშინ ხდება, როდესაც მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასი ეცემა. ნავთობის ბაზრის მსგავსად, პურპროდუქტების ბაზარზე მსოფლიო ტენდენციები მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როდესაც იმპორტირებული პროდუქტის ფასი იზრდება, ხოლო გაიაფების შემთხვევაში, ქართული ბაზარი საერთოდ არ რეაგირებს. მაგალითად, შარშან, მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასი რამდენჯერმე შემცირდა, საქართველოში კი არც ხორბალი გაიაფებულა, არც ფქვილი და არც პური.

საქართველოში იმპორტირებული ხორბლის 90% რუსეთიდან შემოდის. ქეთევან კუბლაშვილის თქმით, წელს რუსეთში ხორბლის დიდ მოსავალს ელოდნენ, მაგრამ პროგნოზი არ გამართლდა, რასაც პროდუქტის გაძვირება მოჰყვა.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში „ვერსიას“ განუცხადეს, რომ 1 ტონა ხორბლის ფასის 25 აშშ დოლარით ზრდას ფქვილის უმნიშვნელო გაძვირება მოჰყვება, მაგრამ ეს პურის ფასზე გავლენას ვერ მოახდენს. სამინისტროს ინფორმაციით, მართალია, რუსული ხორბალი გაძვირდა, მაგრამ საქართველო ხორბლის იმპორტს უკრაინიდან და ყაზახეთიდანაც ახორციელებს, ამას ადგილობრივი, ქართული ხორბალიც ემატება და შესაბამისად, სახელმწიფოს ხორბლის საკმარისი მარაგი გააჩნია, რათა ქვეყანაში პურის ფასმა არ მოიმატოს.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს პროგნოზს არ იზიარებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ემზარ ჯგერენაია**, რომელმაც „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ხორბლის გაძვირება ფოთის პორტში არსებული მაღალი ტარიფების ბრალია: **„მსოფლიოში 1 ტონა ხორბლის ფასმა 670 აშშ დოლარს გადააჭარბა, რაც საკმაოდ მაღალია ამ დროისთვის, მაგრამ ფოთის პორტთან დაკავშირებით, პირდაპირ გეტყვით, რომ მსხვილი საწარმოები — რუსთავის „აზოტი“, ზესტაფონის „ფერო“ და ყაზახური კომპანიების წარმომადგენლები, ფოთის პორტის ტარიფებს უჩივიან. ისინი მიიჩნევენ, რომ სხვა პორტებთან შედარებით, ფოთის პორტს საკმაოდ მაღალი ტარიფები აქვს. არადა, მთელი მსოფლიოს პორტებში ტვირთების ნაკლებობაა, „საქართველოს რკინიგზასაც“ კი, ამ დროისთვის, 12 000 000 ტვირთი აკლია. მაგალითად, ილიჩევსკის პორტის წლიური დატვირთვა 60 000 000 ტონაა, მაგრამ ახლა დაახლოებით, 30 000 000 ტონაზე მუშაობს; ანალოგიური ვითარებაა ოდესის პორტშიც, რომლის წლიური დატვირთვა 40 000 000 ტონაა, მაგრამ 30 000 000 ტონაზე მუშაობს. ნოვოროსიისკის პორტის ბრუნვაც განახევრებულია, კონსტანცას პორტს კი, რომელიც ევროპის ჭიშკარია, ტვირთების 20%-25% აკლია. ფოთის პორტსაც შეუმცირდა ტვირთები და ამ ვითარებაში, ფასების ზრდა ტვირთებს აუცილებლად დაგვაკარგვინებს. მაგალითად, „აზოტის“ ხელმძღვანელობა უკვე ამბობს, რომ ტვირთს აზერბაიჯანის გავლით გაიტანს, რაც გაცილებით იაფი დაუჯდება“.**

ემზარ ჯგერენაიამ „ვერსიას“ განუცხადა, რომ ფოთის პორტს მსოფლიოში ცნობილი გიგანტური კომპანია „მაერსკი“ მართავს. ამ კომპანიას იმდენად მსხვილი ბრუნვა აქვს, რომ ფოთის პორტში ტვირთების რაოდენობის შემცირებას მტკივნეულად არ გადაიტანს, სამაგიეროდ, საქართველო დაზარალდება. ჯგერენაია არ გამორიცხავს, რომ იმპორტირებული ხორბალი ფოთის პორტში არსებული მაღალი ტარიფების გამო გაძვირდა:

„მეორე მხრივ, მსოფლიოშიც გაიზარდა ხორბლის ფასი და გამორიცხული არ არის, რუსეთმა, რომელიც ხორბლის ერთ-ერთი სერიოზული მიმწოდებელია, საკუთარი პროდუქციის ფასი ამიტომ გაზარდა. კლასიკურად, რუსული და ყაზახური ხორბალი ყოველთვის იაფი იყო, რაც ჩვენს ქვეყანას მანევრირების საშუალებას აძლევდა. პირობითად, რუსეთიდან 1 000 ტონა ხორბლის წამოღება რკინიგზის საშუალებითაც შეგიძლიათ, არადა, კანადიდან აუცილებლად 30 000 ტონა ხორბალი უნდა წამოიღოთ, თანაც გემით, რაც გაცილებით ძვირი დაგიჯდებათ. აქედან გამომდინარე, რუსეთიდან იმპორტირებული ხორბალი ორი მიზეზის გამო გაძვირდა — მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასი გაიზარდა და ფოთის პორტში მაღალი ტარიფებია“.

საინტერესოა, როგორ უნდა დაარეგულიროს სახელმწიფომ „მაერსკის“ პრობლემა? რა ბერკეტი აქვს ხელისუფლებას ამისთვის და ამ ტიპის რეგულირება კერძო ბიზნესში სახელმწიფოს უხეშ ჩარევად ხომ არ აღიქმება? ემზარ ჯგერენაია ამბობს, რომ ეს პრობლემა მხარეებს შორის დიალოგის გზით გადაიჭრება: **„პირველ რიგში, არავის ვურჩევ კერძო ბიზნესში უხეშად ჩარევას, მაგრამ სახელმწიფო აუცილებლად უნდა შეხვდეს მეწარმეებს. არც ისეა საქმე, რომ ყველაფერს ბაზარი დაალაგებს, თუმცა თავისუფალი ბაზრის მეხოტბე ვარ. მოკლედ, ეს შეხვედრა აუცილებელია. უნდა გავიგოთ, რა პრობლემა და შანსი აქვს „მაერსკს“, რა ინვესტიციის განხორციელებას აპირებს და როგორია მისი სამომავლო გეგმები. უნდა ვეცადოთ, პრობლემა მოლაპარაკების გზით გადავჭრათ, რათა საერთო გამოსავალი ვიპოვოთ. თუ შევამჩნევთ, რომ „მაერსკი“ ზემოგების მიღებას ცდილობს, რაც ქვეყანას აზიანებს, მაშინ სახელმწიფოს სხვადასხვა ბერკეტი გააჩნია, მათ შორის, საგადასახადო და არასაგადასახადოც კი, რომ ფოთის პორტის მმართველი კომპანია ბაზრის ადეკვატური გახდეს“.**

რაც შეეხება რუსული ხორბლის ალტერნატივას — ყაზახურ და უკრაინულ ხორბალს, ემზარ ჯგერენაიამ „ვერსიას“ განუცხადა, რომ თუ გარკვეული მიზეზის გამო, რუსული ხორბლის ფასი იცვლება, ეს პროცესი მყისიერად აისახება ყაზახურ და უკრაინულ ხორბალზეც: **„რას ნიშნავს — რუსული ხორბალი გაძვირდა, მაგრამ ყაზახური ან უკრაინული ხომ გვაქვს? რუსული ხორბლის ფასთან ერთად, უკრაინული ხორბალიც თუ არ გაძვირდა, მაშინ რუსული პროდუქცია ჩაწვება, რადგან მთელი მსოფლიო უკრაინულს მიაწყდება. უკრაინა, რუსეთი და ყაზახეთი აღმოსავლეთის ბაზარს წარმოადგენს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვისაც და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვისაც. შესაბამისად, თუ რუსული ხორბალი გაძვირდა, ეს ნიშნავს, რომ უკრაინული და ყაზახურიც გაძვირდება. მეტსაც გეტყვით, უკრაინულ ბაზარზე საკმაოდ ძლიერადაა წარმოდგენილი რუსული კომპანიები ხორბლის ბიზნესში და აქედან გამომდინარე, მშვიდად ნამდვილად ვერ ვიქნებით“.**

საარსებო მინიმუმი იზრდება

პარლამენტის ბიუროს სხდომაზე, ინიციატივის წესით, „საარსებო მინიმუმის გაანგარიშების შესახებ“ კანონში ცვლილებები დარეგისტრირდა. ინიციატივის მიხედვით, საქართველოს საარსებო მინიმუმის გაანგარიშება განხორციელდება ნორმატიულ სტატისტიკური მეთოდის საფუძველზე. იგი მოიცავს სასურსათო კალათის კვების პროდუქტის მოხმარების მინიმალურ ნორმებს მოხმარების ჩამოყალიბებული სტრუქტურის შესაბამისად.

საარსებო მინიმუმის განსაზღვრისთვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობას, ნორმებსა და ნორმატივებს ადგენს და აუცილებლობის შემთხვევაში, გადასინჯავს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

კანონპროექტის ავტორთა განმარტებით, ცვლილების მიღების მიზანია, დადგინდეს კანონით კალორიების ის მინიმალური ოდენობა, რომელზე დაბლა სასურსათო კალათის შემადგენლობა არ უნდა იყოს. სასურსათო კალათის ღირებულება საარსებო მინიმუმში არანაკლებ 50% უნდა იყოს.

დღეს, საარსებო მინიმუმში სასურსათო კალათის ღირებულება 105 ლარს შეადგენს, რაც საარსებო მინიმუმის 70% უნდა იყოს. ახალი მეთოდოლოგიით, სასურსათო კალათის ღირებულება 125 ლარამდე გაიზრდება.

კანონპროექტი პარლამენტში სანიციატივო ჯგუფმა წარადგინა, რომლის ავტორები ქრისტიან-დემოკრატები არიან.

„პირველი“

„სახელმწიფო ბიუჯეტს „ქართული ოცნების“ აქტივისტების დასაქმება წლიურად 15 მილიონ ლარზე მეტი უჯდება“

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ჭიაბერაშვილი ორგანიზაცია „ახალი თაობა – დემოკრატიული არჩევანის“ მიერ პროექტის „გენდერული ბალანსი საჯარო სამსახურში“ ჩატარებულ კვლევას ეხმაურება.

ჭიაბერაშვილის ინფორმაციით, საბიუჯეტო სახსრების არარსებობის მიზეზით მთავრობამ ასეულობით რაიონული თუ ნაციონალური მასშტაბის პროექტი გააჩერა და ამ პროექტებში დასაქმებული უამრავი ადამიანი უმუშევარი დატოვა.

ორგანიზაცია „ახალი თაობა – დემოკრატიული არჩევანის“ მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გამგეობებში, განსაკუთრებით კი, მუნიციპალურ შპს-ებსა და სიპ-ებში ხდება საშტატო ერთეულების დამატება და „ქართული ოცნების“ აქტივისტების დასაქმება.

ჭიაბერაშვილის ინფორმაციით, კვლევის ფარგლებში გამოყენებულ კითხვარს 18 მუნიციპალიტეტის გამგეობამ უპასუხა. მათგან საშტატო ერთეულები გაიზარდა 15-ში, ერთში არ შეცვლილა, 2-ში კი შემცირდა. ჯამში, ამ 18 მუნიციპალიტეტს 766 საშტატო ერთეული დაემატა. კვლევაში მკაფიოდ ჩანს საშტატო ერთეულების ხელოვნურად ზრდის ტენდენცია და დიდი ალბათობით, იგივე ხდება იმ მუნიციპალიტეტებშიც, რომლებმაც არ გაასაჯაროეს მსგავსი ინფორმაცია. კვლევის ანალიზით დადგინდა, რომ, ჯამში, წლიურად, სახელმწიფო ბიუჯეტს „ქართული ოცნების“ აქტივისტების დასაქმება 15 მილიონ ლარზე მეტი უჯდება.

„პირველი“

რუსუდან შელია
557-100-768

„რესპუბლიკური პარტიის გავლენა კოალიციაში უფრო უნდა გაიზარდოს“

რესპუბლიკური პარტიის ახალი თავმჯდომარის, ხათუნა სამნიძის პოლიტიკური ბეგრაუნდი და მიზნები

რესპუბლიკურ პარტიას ახალი თავმჯდომარე ჰყავს — ხათუნა სამნიძე პარტიის მეთხუთმეტე ყრილობაზე დავით უსუფაშვილმა წარადგინა, ეროვნულმა კომიტეტმა კი ღია კენჭისყრის გზით, ორწლიანი ვადით ხელმძღვანელად აირჩია. რა ნიშნით დაინიშნა პარტიის ლიდერად და რატომ ფიქრობს, რომ კოალიციაში „რესპუბლიკელების“ გავლენა უნდა გაიზარდოს? „ვერსია“ ხათუნა სამნიძეს ესაუბრა.

— 2013 წლიდან რესპუბლიკური პარტიის საორგანიზაციო მდივანი ვიყავი და ერთ-ერთი მთავარი ამოცანა პარტიის მეთხუთმეტე ყრილობის ორგანიზება იყო. ვფიქრობ, ამ დავალებას, ახალგაზრდა რესპუბლიკელებთან ერთად, წარმატებით გავართვი თავი... რაც შეეხება პოლიტიკურ გამოცდილებას, 2004 წელს აჭარის უმაღლეს საბჭოში ნაციონალური მოძრაობის ფრაქციის წევრი გახლდით, თუმცა მალევე, დავით ბერძენიშვილთან რამდენჯერმე საუბრის შემდეგ, რესპუბლიკურ პარტიაში გადავედი.

— ნაციონალური მოძრაობის ფრაქციის დატოვების მიზეზი უთანხმოება გახდა?

— ვარდების რევოლუციის პერიოდში გერმანიაში ვსწავლობდი. მაშინ საზღვარგარეთ მყოფ ქართველებს ახალი ხელისუფლების მიმართ იდეალისტური წარმოდგენა შეგვექმნა, მეც გადავწყვიტე, საკუთარი გამოცდილება და ცოდნა საქართველოს განვითარებაში გამომეყენებინა. სწორედ ამიტომ შევუერთდი ნაციონალურ მოძრაობას, თუმცა უშუალოდ, პარტიის წევრი არასოდეს ვყოფილვარ. ნაციონალების გუნდიდან წამოსვლის გადაწყვეტილება კი ემოციურ ფონზე არ მიმიღია — დიდი ხნის განმავლობაში ვაკვირდებოდი პროცესებს, რაც აჭარის უმაღლეს საბჭოში მიმდინარეობდა. ბევრისგან რეკომენდაციაც მივიღე, მოქალაქეების უფლებებისთვის შიგნით მებრძოლა და ფრაქცია არ დამეტოვებინა, თუმცა მაშინ ეს შეუძლებელი იყო. განსხვავებული აზრის მქონე წევრი გუნდიდან უნდა გაერიყათ, მე კი ზუსტად ვიცოდი, რატომ ვიყავი პოლიტიკაში და რა უნდა მეკეთებინა ქვეყნისთვის, ამიტომ იდეურად ყველაზე ახლოს რესპუბლიკური პარტია აღმოჩნდა და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მალე მივიღე.

— საზოგადოებისთვის ჯერ მაინც ახალბედა პოლიტიკოსად ითვლებით, თანაც პარტიის თავმჯდომარე საკმაოდ გამოცდილი პოლიტიკოსების, დავით უსუფაშვილის, ლევან ბერძენიშვილის შემდეგ გახდით. ფიქრობთ, უსუფაშვილის პროგნოზს გაამართლებთ და პარტიის ყველაზე წარმატებული ხელმძღვანელი იქნებით?

— როცა პარტიის თავმჯდომარედ ჩემი კანდიდატურა დასახელდა, პირველ რიგში, ვიკითხე, რა ნიშნით შემარჩიეთ-მეთქი. როგორც პოლიტიკოსს აჭარაში კარგად მიცნობენ, თუმცა სამწუხაროდ, ის ადამიანები, რომლებიც რეგიონებში აქტიურად მუშაობენ, ფართო მასებისთვის ცნობილები არ არიან. თავმჯდომარედ დავით უსუფაშვილმა წარმადგინა, მაგრამ როგორც ვიცი, საბოლოო გადაწყვეტილება დანარჩენ ლიდერებთან ერთად მიიღო. დიახ, ეს ჩემთვისაც მოულოდნელი იყო, რადგან პარტიას 35-წლიანი ისტორია აქვს... თუმცა ამ ნაბიჯით კიდევ ერთხელ ვაჩვენეთ საზოგადოებას, რომ დახურული ძალა არ ვართ და ახალ თაობას მოქმედების შანსს ვაძლევთ. დავით უსუფაშვილისა და სხვა ლიდერების მიერ გამოცხადებული მხარდაჭერა ჩემთვის პასუხისმგებლობასთან ერთად, დიდი ტვირთია. სიმართლე გითხრათ, ჩემი მხრიდან რისკიცაა, დავით უსუფაშვილის პროგნოზმა კი, ეს პასუხისმგებლობა გააორმაგა. რაც შეეხება პარტიის პერსპექტივებს, უკვე უპირატეს მდგომარეობაში ვართ, რადგან სახელისუფლო პარტიას წარმოვადგენთ.

— თუმცა დღესაც ბევრი მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილის ლიდერობის გარეშე, 3%-იანი რეიტინგის მქონე რესპუბლიკური პარტია ხელისუფლებაში მოსვლას კიდევ დიდხანს ვერ მოახერხებდა.

— სხვათა შორის, ყრილობაზე ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, როცა კოალიციის ჩამოყალიბება დავიწყე, პირველ წევრად რესპუბლიკური პარტია დავასახელე, რადგან ეს ბრძენი პოლიტიკოსების მიერ შექმნილი პოლიტიკური ძალაა. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ კოალიციაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი გვიჭირავს. მიმაჩნია, რომ რესპუბლიკური პარტიის გავლენა კოალიციაში უფრო უნდა გაიზარდოს.

— გავლენის გაზრდაში რას გულისხობთ?

— გავლენის ზრდა ნიშნავს, რომ კოალიციაში პარტიის შეხედულებები გადამწყვეტი ხდება.

— და ფიქრობთ, კოალიციაში შემავალი დანარჩენი პარტიები ამას შეეგუებიან?

— გავლენის გაზრდა, პირველ რიგში, მეტ პასუხისმგებლობას ნიშნავს და ამას უარყოფით კონტექსტში არ ვამბობ. ჩვენი პარტიის ლიდერი პარლამენტის თავმჯდომარეა, რაც უკვე ბევრ რამეს ნიშნავს. ზოგადად, კოალიციურ რეჟიმში მუშაობა ჩვენთვის გამოწვევაა, რასაც ამ ერთი წლის განმავლობაში თავი საკმაოდ წარმატებით გავართვით და მომავალშიც ამ გზით სვლას ვაპირებთ.

— საინტერესოა, რა მექანიზმი გაქვთ შემუშავებული კოალიციაში რესპუბლიკელების გავლენის გასაზრდელად?

— ჩვენი ამოცანაა კოალიციაში არსებული პარტიული სიჭრელის ფონზე, რესპუბლიკურმა პარტიამ საკუთარი ამომრჩეველი შეინარჩუნოს და განვითარდეს. კოალიციაში ლიდერ პარტიად ქცევა ჩვენი მიზანი და სტრატეგიული ამოცანა სულაც არ არის. უბრალოდ, მიმაჩნია, რომ როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტი უნდა გავძლიერდეთ, რაც მოგვცემს შესაძლებლობას, კოალიციაშიც სტაბილურად ვიმოქმედოთ. ისევ ბიძინა ივანიშვილის სიტყვებს გავიხსენებ, რომელმაც განაცხადა, რომ ჩვენი პარტია სტაბილურია. სწორედ ამის შენარჩუნებასა და მომავალში გაძლიერებაზე ვსაუბრობ.

— არადა, დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკური პარტია საზოგადოებაში სუპერპოპულარული ვერასოდეს გახდება.

— აბსოლუტურად ვეთანხმები, რადგან საკმაოდ ხშირად, საზოგადოების უმრავლესობა ჩვენი პოზიციით უკმაყოფილო რჩებოდა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ლიბერალური პარტია ვართ, ჩვენს იდეოლოგიას კი ბევრი არ იზიარებს. რაც მთავარია, წლების განმავლობაში ჩვენი ამომრჩევლის ერთგულები ვართ და სხვა პოლიტიკური ძალებისგან განსხვავებით, პოზიციას გარემოების მიხედვით არ ვიცვლით.

— ასეთი პარტიები კოალიციაშიც გეგულებათ?

— არა, საგარეო მიმართულებით კოალიციაში აბსოლუტური ერთობაა და ეს დეკლარირებულიცაა. თანაც რუსეთთან ურთიერთობის დალაგება, ჩემთვის ევროპისკენ სვლის შეჩერებასთან არ ასოცირდება. რაც მთავარია, კოალიცია თითოეული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას, შეთანხმებულად მოქმედებს. ამას საპრეზიდენტო არჩევნები და კოალიციის თანხმობით დასახელებული პრემიერობის კანდიდატიც მოწმობს.

— პოლიტიკიდან ბიძინა ივანიშვილის წასვლის შემდეგ, სწორედ პარტიული სიჭრელის გამო, კოალიციის დაშლასაც პროგნოზირებენ. ეს რეალურია?

— ბიძინა ივანიშვილსა და ირაკლი ღარიბაშვილს ერთმანეთს არ შევადარებ. მომავალ პრემიერზე მხოლოდ ერთნლიანი მუშაობის მიხედვით ვიტყვი, რომ საკმაოდ წარმატებული ლიდერი გახდა. რაც შეეხება კოალიციის დაშლის საკითხს, ამის საშიშროება არ არსებობს — კოალიცია მედიის ან პოლიტიკური ოპონენტების კრიტიკის გამო არ იშლება, ეს ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამის სურვილი გაერთიანებაში შემავალ პოლიტიკურ სუბიექტებს აქვთ, მე კი ვიცი, კოალიციიდან გასვლის სურვილი არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ აქვს, მით უმეტეს, რესპუბლიკურ პარტიას, ამიტომ თანამშრომლობას კიდევ დიდხანს გავაგრძელებთ. ვიმეორებ, ეს დიდი გამოწვევაა, მაგრამ გუნდის შიგნით აქტიურად მსჯელობენ, რა პროცესებს უნდა ველოდეთ პოლიტიკიდან ივანიშვილის წასვლის შემდეგ.

— რესპუბლიკელი დავით ზურაბიშვილი არ მალავს, რომ გამოკვეთილი ლიდერის გარეშე, კოალიციური მმართველობა ექსპერიმენტია, რომელიც გარკვეულ რისკებსაც შეიცავს.

— კოალიციაა მზადაა, პოლიტიკიდან ბიძინა ივანიშვილი წავიდეს. ჩვენ ისევე წარმატებით გავაგრძელებთ წინსვლას, როგორც ამ ერთი წლის განმავლობაში ვმოქმედებდით. თავის დროზე, ჩვენთვის სერიოზული გამოწვევა იყო პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენაც, რადგან ფაქტობრივად, ექსპერიმენტულ მდგომარეობაში ვიყავით, მაგრამ თავად პოლიტიკა მუდმივ გამოწვევებს გულისხმობს.

ვერსიანიუსი

რუსეთის დროშის დაწვისთვის პოლიციაში დაიბარეს

ფოთის საკრებულოს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის წევრი და რუსული დროშის დაწვის მიზნით გამართული საპროტესტო აქციის მონაწილე დარეჯან ცხვიტარია ფოთის მთავარ სამმართველოში დაიბარეს. პოლიციის შენობიდან გამოსვლის შემდეგ ცხვიტარიამ განაცხადა, რომ პოლიციის მხრიდან მისი გამოკითხვა ანსამბლ „თეთრი თოლიას“ ხელმძღვანელისა და ფოთში მიმდინარე საბავშვო ფესტივალის ორგანიზატორის, დარეჯან გეფერიძის განცხადების საფუძველზე მოხდა: **„პოლიციამ რეაგირება მოახდინა განცხადებაზე, რომელიც დარეჯან გეფერიძეს აქვს შეტანილი რუსეთის დროშის დაწვასთან დაკავშირებით. უბრალოდ, გამომკითხეს, ამას არ ჰქონდა დაკითხვის ფორმა“.** მისივე განმარტებით, ჯერჯერობით არ იცის, რა გაგრძელება მოჰყვება აღნიშნულ საკითხს სამართალდამცავების მხრიდან. ფოთში, საბავშვო-ფოლკლორული ფესტივალის ფარგლებში, სხვა 17 ქვეყნის დროშებთან ერთად, რუსეთის დროშაც იყო გამოფენილი, რომელიც ნაციონალური მოძრაობის წევრებმა და მხარდამჭერებმა დაწვეს. ფაქტი ფესტივალის ორგანიზატორმა, დარეჯან გეფერიძემ გააპროტესტა.

„პირველი“

დავით ნარმანია იმედოვნებს, რომ საქმიანობას ახალ მინისტრთა კაბინეტშიც გააგრძელებს

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის განმარტებით, მისმა უწყებამ ერთი წლის განმავლობაში წარმატებით იმუშავა: **„არსებითი ჩავარდნები არ გვქონია ჩვენი სამინისტროს სისტემაში და ბევრი პროგრესული პროექტი განვახორციელეთ. ეს მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მუშაობას ალბათ, ახალ მინისტრთა კაბინეტშიც გავაგრძელებ“.**

მინისტრის განმარტებით, აღნიშნულთან დაკავშირებით, მთავრობაში კონსულტაციები ჯერ არ ყოფილა და გადაწყვეტილებას ახალი პრემიერ-მინისტრი თავად მიიღებს: **„ჯერ მხოლოდ რამდენიმე დღე გავიდა, რაც პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი დასახელდა. მას აქვს საკმარისი დრო, გააანალიზოს ყველაფერი, კონსულტაციები გაიაროს მინისტრთა კაბინეტის წევრებთან და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ყველაფერი ცნობილი. ჯერჯერობით, ჩვეულებრივი ტემპით ვმუშაობთ“.**

„ინტერპრესნიუსი“

საინფორმაციო მხარდაჭერა
СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ

ექსკლუზიური ინტერვიუ გენერალ კობა კობალაძესთან

ვის კაბინეტში დაიგეგმა საქართველოს ტერიტორიების რუსეთისთვის გადაცემა და რატომ უნდა დაიხვეწოს სამხედრო კონცეფცია

ნინო შათირიშვილი

ქართული პოლიტიკის ყველაზე რთული და საკამათო სფერო უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ქართული ჯარი და სამხედრო სტრატეგია იყო, რაც განსაკუთრებით აქტუალური 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გახდა — სამხედრო ექსპერტთა კომპეტენტური ნაწილი ყოველთვის ღიად აცხადებდა, რომ სამხედრო დოქტრინა და კონცეფცია რეალურად ჩამოსაყალიბებელი და დასახვეწია, ხოლო მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ნაციონალური მოძრაობის მმართველობის 9-წლიანი ეპოქა დასრულდა, მოვლენების გაანალიზების, შეფასებისა და პერსპექტივის განხილვის დრო დადგა. „ვერსია“ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს გენერალ კობა კობალაძესთან, რომელმაც თავისი კარიერის მანძილზე სწავლაც, ბრძოლაცა და პატიმრობაში ყოფნაც მოასწრო.

— ბატონო კობა, დღემდე თითქმის ყველა ხელისუფლება ცდილობდა, საკუთარი მიზნებისთვის გამოეყენებინა ქართული ჯარი... არის თუ არა ხელახლა შესაქმნელი და ჩამოსაყალიბებელი სამხედრო კონცეფცია?

— იმ საფრთხიდან გამომდინარე, რომელიც ჩვენს ირგვლივაა, რეალობას ცოტა მოწყვეტილები ვართ. ამ ფონზე, რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ, საფუძვლიანად გადასახედია ჩვენი განვითარების სტრატეგია, ჯერ ვერც სამხედრო დოქტრინის საფუძვლიანი დოკუმენტი მოვიპოვეთ... გეთანხმებით, შეიარაღებული ძალების თემით სპეკულაცია ხშირად ხდებოდა, ამიტომ გადასახედია პლატფორმა და ახალი კონცეფციაა ჩამოსაყალიბებელი.

— დიდი ხანია კამათობენ, უნდა იყოს თუ არა ქართული სამხედრო დანაყოფები ავღანეთის სამშვიდობო მისიაში, სადაც ქართულ შენაერთებს დიდი დანაკარგი აქვთ. როგორია თქვენი პოზიცია?

— ყველაზე დიდი დანაკარგი ქართულ ქვედანაყოფებს არ აქვთ, უბრალოდ, რაოდენობრივად რომ იზრდება მისიაში მონაწილე შემადგენლობა, პროპორციულად იმატებს რისკფაქტორებიცა და მსხვერპლიც. უნდა გამოვიდეთ მოცემულობიდან, რომ თანამეგობრობის წევრი ქვეყანა ვართ — საქართველომ ეს განაცხადი უკვე გააკეთა, რაც გვავალდებულებს, გარკვეულ მისიებში, თანამეგობრობის სახელმწიფოებთან ერთად, შევასრულოთ კონკრეტული ამოცანა. რაც უფრო გავლენიან და მაღალტექნოლოგიურად განვითარებულ პარტნიორებთან ერთად მოუწევთ ქართველ სამხედროებს სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობა, მით მეტ გამოცდილებას შეიძენენ, რისკფაქტორები კი მშვიდობიანობის პერიოდშიც არსებობს. 2008 წლის აგვისტოს ომში გაცილებით მეტი მსხვერპლი გვქონდა და აქედან გამომდინარე, მეტი პროფესიონალური დატვირთვაა საჭირო მსხვერპლის მინიმალიზაციისთვის. საფრთხეებსა და მსხვერპლის გამომწვევ მიზეზებს აქამდეც ვაანალიზებდით, ვსაუბრობდით გარკვეული ღონისძიებების გამკაცრების აუცილებლობასა და იმაზე, რომ მოქმედებები კონკრეტული მიმართულებით მეტადაა დასახვეწი... მგონი, ამ ყველაფერს თავდაცვის სამინისტრო ნელ-ნელა, წარმატებით ართმევს თავს. ჩვენი პარტნიორები არიან ამერიკა, ევროპა და განვითარებული ქვეყნები, რაც გვაიმედებს. შესაძლოა, ვიღაცებს ჰგონიათ, რომ ეს ურთიერთობები ჩვენს უსაფრთხოებასა და მსხვერპლის მინიმალიზებას განაპირობებს, მაგრამ თუ თავად არ გაქვს კონკრეტული ამოცანის შესრულების მზაობა, ასე არ მოხდება.

— დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში რამდენიმე ე.წ. სამხედრო ამბოხი შედგა — „ისნის“, „მუხროვანის“ და ასე შემდეგ. ნაციონალების მმართველობის 9-წლიან პერიოდში, შეთქმულების მოტივით, ბევრი სამხედრო მაღალჩინოსანი დააპატიმრეს, მათ შორის თქვენც. ალბათ, მომავალშიც არ ვართ დაზღვეულნი ანალოგიური შემთხვევებისგან... რა არის მიზეზი?

— პირველ რიგში, ვისაუბროთ იმ თემებზე, რომლებიც ვიღაცის ფანტაზიაში მომწიფდა — ფსევდოამბოხი, რეალურად, პროტესტის გამოხატვის მცდელობაა... ისანსა თუ მუხროვანში მომხდარი „ამბოხის“ ლაიტმოტივი სოციალური პირობები, ოფიცრების სიდუხჭირე იყო ანუ რეალობა, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ. რთულია, როცა ადამიანს აქვს რწმენა, რომ ქვეყნის მშენებლობის პროცესში ერთი ქვა მაინც დადო და სინამდვილეში, ამ ქვაზე შეხების უფლებას არ აძლევენ! როცა სახელმწიფო დაშორებულია შემადგენლობისგან, რომელმაც ენერგია, სისხლი, ემოცია არ დაიშურა მისი შექმნისთვის, ეს უკვე სახელმწიფოს პრობლემაა. საკმაოდ კრიტიკული შეხედულება მაქვს ამბოხებასა და ფორმიანი ადამიანების უდისციპლინობაზე... როცა მუხროვანის ამბებში „გამხვიეს“, არავის უკითხავს, რა აზრის ვიყავი ამ ყველაფერზე, არადა ნებისმიერ ემოციაზე მაღლა დგას ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა. კაცს, რომელსაც ფორმა აცვია, რომელიც ფიცს დებს თავისი ქვეყნის წინაშე, გაცილებით მეტი ვალდებულება აქვს, ვიდრე კონკრეტული მერკანტილური ინტერესებია!

მუხროვანის ამბოხი უკვე ყოფილი პრეზიდენტის კარზე უნიჭოდ დაგეგმილი ერთ-ერთი სცენარი იყო — რაღაცის გადაფარვა უნდოდათ. 9 თვის განმავლობაში, როცა სახელმწიფო კმაყოფაზე ვიყავი, გამოყოფილი მქონდა ფართი, მყარაულობდნენ, სასამართლოში მანქანით დავყავდი და არც ერთი კითხვა არ დაუსვამთ გამომძიებლებს... ჩემს მიმართ სამართლებრივი მოქმედებები თუ საგამოძიებო პროცესები არ განხორციელებულა და გამონაკლისი არ ვყოფილვარ — ბევრს ექცეოდნენ ასე, რადგან რეალურად, თავადვე იცოდნენ, რამდენად აბსურდული იყო ის, რაზეც საუბრობდნენ. როდესაც მოწმე ამბობს, რომ კავკასიონის ქედზე ფეხით იყო გადასასვლელი და იქიდან ზურგით გადმოიტანა 20 მილიონი, რბილად რომ ვთქვათ, უნიჭო ფანტაზიაა — 1 მილიონი ამერიკული დოლარი იწონის მინიმუმ 12 კილოგრამს. 20 მილიონს, თან იმ რელიეფზე, ზურგით ვინ გადმოიტანს? კიდევ ერთი

აბსურდი მახსენდება: ვიღაცები იღებდნენ თავზე იმას, რომ უნდა აეფეთქებინათ ნახევარი საქართველო, თანაც არც სათანადო გამოცდილება და ცოდნა ჰქონდათ, როგორ უნდა მოეყვანათ მოქმედებაში ასაფეთქებელი ნივთიერება! ცხადია, ეს საკითხები უნდა დაწყებულიყო პრეზიდენტის რეზიდენციიდან... ეს ვიღაცის დაკვეთა იყო.

ცხოვრების წესით, ქვეცნობიერად, უფრო აზიელები ვართ და აქედან გამომდინარე, გვგონია, რომ ემოციის უსაზღვრო გამოხატულებით უფრო კონკრეტული შედეგი გვექნება. ივანიშვილის გაწონასწორებული პოლიტიკის შემდეგ, პრაგმატული ხედვით დავიწყეთ წინსვლა. ვინ რა გზით ივლის, ჯერ არ ვიცით, თუმცა საქართველოს მოსახლეობამ დაინახა, რომ პრაგმატულად და ცივი გონებითაც შეიძლება წარმატებების მიღწევა.

— მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობს ვეტერანთა დეპარტამენტი და უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია, ვეტერანთა ელემენტარული პრობლემები დღემდე გადაუჭრელია. „გენერალთა კლუბის“ წარმომადგენელს, ამ მიმართულებით რა გეგმები გაქვთ?

— ვეტერანთა დეპარტამენტი ერთადერთი საჯარო ორგანიზაციაა, რომელიც ექვემდებარება სახელმწიფო სისტემას და აქვს ამოცანა, ყველა ვეტერანის კონსოლიდაცია მოახდინოს, ასევე ამ ხალხს, გარკვეულწილად, შეუმსუბუქოს სოციალური პრობლემები. ვეტერანთა დეპარტამენტი ერთია, არასამთავრობო კი, თითქმის 300-ზე მეტი ჩამოყალიბდა.

დასასრული მე-6 გვერდზე

მინი-დოსიე:

კობალაძე კობა თენგიზის ძე, დაიბადა 1969 წლის 7 ივლისს, თბილისში, მოსამსახურის ოჯახში;

1986 წელს დაამთავრა თბილისის მე-12 საშუალო სკოლა; 1987-89 წლებში სავალდებულო სამხედრო სამსახური მოიხადა შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქის საჰაერო-სადესანტო ნაწილში; 1999 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკის ფაკულტეტი; 1994-1996 წლებში წარჩინებით დაამთავრა რიაზანის უმაღლესი საჰაერო-სადესანტო სასწავლებელი სამხედრო სპეციალობით — სადესანტო-სადივერსიო ქვეგანაყოფების მომზადება-გამოყენება, სამოქალაქო სპეციალობით — მუხლუხოვანი და ბორბლებიანი ტექნიკის ინჟინერი; 1996-1999 წლებში მოსკოვში წარჩინებით დაამთავრა ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია, სპეციალობით — შენაერთების სამხედრო-ადმინისტრაციული მართვა და ოპერატიული ხელოვნება; 2001 წლის 27 ივლისს დაამთავრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გენერალური შტაბის აკადემია, სპეციალობით — სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, სამხედრო სტრატეგია და ოპერატიული ხელოვნება; 2002 წელს გარმიშში (გერმანია), ჯ. მარშალის სახელობის სტრატეგიის ცენტრში დაგეგმილ უმაღლეს აღმასრულებელ კურსზე გაიარა სრული კურსი, თემით — მსოფლიო გლობალიზაციის საკითხები და ევროატლანტიკური სივრცის ინტეგრაცია აღმოსავლეთის სივრცეში; 2002 წლის თებერვალში აშშ-ს ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის სარდლის მიწვევით, სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ამერიკაში, სადაც შემუშავდა საქართველოს გვარდიის რეორგანიზაციის უახლოესი და პერსპექტიული გეგმები, მიენიჭა ჯორჯიის შტატის საპატიო გვარდიელის წოდება; 2002 წელს თურქეთის სპეცდანიშნულების სარდლის მიწვევით, თურქეთში გაეცნო მათ სტრუქტურასა და მოქმედების სპეციფიკას; 2003 წლის მაისში კვლავ გაგზავნეს მარშალის სახელობის ცენტრში, სადაც გაიარა სრული კურსი თემით — მსოფლიო ტერორიზმის განვითარების საფრთხე, მასთან ბრძოლის აუცილებლობა და მეთოდები; 2003 წლის ნოემბერში დაამთავრა სან-რემოს (იტალია) სამხედრო კონფლიქტოლოგიის საერთაშორისო სამართლის კურსი.

1986 წელს მუშაობა დაიწყო კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში; 1990 წლიდან აქტიურად ერთვება საქართველოს ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნა-ჩამოყალიბების პროცესში; 1991-1994 წლებში მსახურობდა შემდეგ თანამდებობებზე: ეროვნული გვარდიის პირველი მოტომსროლელი ბრიგადის ოცეულის მეთაური, ამავე ბრიგადის სადაზვერვო ასეულის მეთაური, ბრიგადის დაზვერვის უფროსი, შავნაბადას სახელობის დაზვერვის ბატალიონის ერთ-ერთი ჩამომყალიბებელი და მეთაური; იყო მე-11 მმ ბრიგადის მეთაურის მოადგილე საბრძოლო მომზადების დარგში (ამ დროს ყველა ცალკეული საბრძოლო ნაწილი გაერთიანდა ამ ბრიგადის შემადგენლობაში.) და მე-11 მმ ბრიგადის მეთაური; 1991-1994 წლებში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში სამაჩაბლოსა და აფხაზეთში; 1992 წლის აპრილში, ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნით, დაინიშნა, ფოთის კომენდანტად; 1992 წლის 13 აგვისტოს ხელმძღვანელობდა საქართველოს ისტორიაში პირველი საზღვაო დესანტის გადასხმას ლესელიძე-განთიადი-გაგრის მიმართულებით — დაჭრის მიუხედავად, მძიმედ დაშავებული რიგითი გადაარჩინა, საბრძოლო ოპერაცია წარმატებული იყო (მსხვერპლი მცირედი); 1993 წლის 16 მარტს ხელმძღვანელობდა სოხუმში (გუმისთა) ჩატარებულ წარმატებულ თავდაცვით ოპერაციას, რომლის შედეგად სეპარატისტების მხრიდან სოხუმზე განხორციელებულმა შეტევამ კრახი განიცადა; 1993 წლის 2 ივლისს იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი ტამიშთან (აფხაზეთი) გადმოსხმული რუსებისა და სეპარატისტების ერთობლივი დესანტის განადგურების ოპერაციისა, ხოლო ბრიგადის მეთაურის დაჭრის შემდეგ ბრიგადის ხელმძღვანელობა აიღო საკუთარ თავზე; 1999 წელს სწავლის დასრულების შემდეგ, თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, დაინიშნა დასავლეთის ოპერატიული მიმართულების უფროსად, დისლოკაციის ადგილი ქუთაისი; 1999 წლის დეკემბერში მიიწვიეს აშშ-ში, სადაც გაეცნო სამხედრო პოლიციისა და სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფების მომზადება-მოქმედების სპეციფიკას; 2000 წლის ნოემბრიდან დაეკავა სახმელეთო ჯარების შტაბის შექმნა-ჩამოყალიბება, 29 ნოემბრიდან დაინიშნა სახმელეთო ჯარების სარდლად, ხოლო 2001 წლის 7 აგვისტოს, პრეზიდენტის განკარგულებით, დაინიშნა საქართველოს ეროვნული გვარდიის სარდლად; 2001 წლის ოქტომბერში, თავდაცვის მინისტრმა კოდორის ხეობაში მიავლინა ოპერატიული მიმართულებით კოდორის ხეობის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად. უშუალოდ ხელმძღვანელობდა ხეობის დაცვის გეგმის შედგენასა და ადგილობრივი სამობილიზაციო რესურსის საბრძოლო მომზადებას. კობალაძის ხელმძღვანელობით მოაქციეს ალყაში კოდორის ხეობაში მოულოდნელად დესანტირებული რუსეთის სადესანტო (გაძლიერებული) ასეული და აიძულეს, სასწრაფოდ დაეტოვებინა ტერიტორია შეთავაზებული კორიდორით; 2002 წლის მეორე ნახევარში, თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, დაინიშნა სწავლება „კახეთი 2002“-ის ხელმძღვანელად, 2004 წელს კი, პრეზიდენტის ინაუგურაციისადმი მიძღვნილი სამხედრო აღლუმის მომზადების უფროსი გახლდათ. აღლუმის მომზადების პროცესში, პრეზიდენტის განკარგულებით, გაიგზავნა ბათუმში, ანალოგიური აღლუმის მოსამზადებლად. დაკისრებული ამოცანის შესრულების ხარისხიდან გამომდინარე, დაიმსახურა პრეზიდენტის მადლობა.

არის სპორტის ოსტატი კრივში; სპორტის ოსტატი ხელჩართულ ბრძოლაში; საპარაშუტო სპეციალობის ინსტრუქტორი.

სამხედრო წოდებები: 1987წ. რიგითი; 1988წ. უმცროსი სერჟანტი, სერჟანტი, უფროსი სერჟანტი; 1989წ. ზემდეგი; 1990წ. ლეიტენანტი; 1991წ. უფროსი ლეიტენანტი; 1992წ. კაპიტანი; 1992წ. მაიორი; 1993წ. უფროსი მაიორი; 1993წ. პოლკოვნიკი; 2001წ. გენერალ-მაიორი;

არის სამეცნიერო თემის ავტორი (ბრიგადის საბრძოლო მოქმედებების წარმოება განსაკუთრებულ პირობებში).

მინიჭებული აქვს: მედალი მხედრული მამაცობისათვის; ვახტანგ გორგასლის ორდენი (I, II და III ხარისხი); საქართველოს პრეზიდენტის – სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით, დასაჩუქრდა ესვდ-ს ტიპის სახელობითი — სნაიპერის შაშხანით; მედალი საბრძოლო დამსახურებისათვის; სამშობლოს ერთგულებისა და თავდადების I ხარისხის ნიშანი;

მიღებული აქვს საბრძოლო ჭრილობები.

ჰყავს მეუღლე — ქეთევან ჯაბახიძე (ინგლისური ენის სპეციალისტი, იურისტი) და ხუთი შვილი: ზურაბი, თენგიზი, დავითი, თამარი და ნიკოლოზი.

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

სიახლეები 2014 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე

შეუქმნის თუ არა პრობლემას აბიტურიენტებს უცხო ენის გამოცდაზე მოსმენითი ნაწილის დამატება



2014 წელს, აბიტურიენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება ოდნავ განსხვავებული წესით მოუწევთ. სიახლეები, რომლებსაც შეფასებისა და ეროვნული გამოცდების ცენტრი სთავაზობს, უკვე გააცნო საზოგადოებას გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმა.

სასიამოვნო სიახლე ისაა, რომ 2014 წელს, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, აბიტურიენტებს საშუალება ექნებათ, არჩევით საგნად სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაც ჩააბარონ.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ამ საგნის სწავლება I-IX კლასის ჩათვლით სავალდებულოა, დამამთავრებელ კლასებში კი არჩევით საგნად ისწავლება. ეს იმ ბავშვებისთვის, რომლებიც ხელოვნებით არიან დაინტერესებულნი და პროფესიას ამ მიმართულებით ირჩევენ, შეღავათია და მათ გამოცდების ჩაბარებას საგრძნობლად გაუადვილებს.

კიდევ ერთი სიახლე ის გახლავთ, რომ უცხო ენის გამოცდას მოსმენის ნაწილი დაემატება, რისთვისაც, მაია მიმინოშვილის განმარტებით, დაახლოებით 10 წუთი იქნება გამოყოფილი, რათა აბიტურიენტმა შესაბამის ენაზე მოისმინოს ტექსტი და შემდეგ შეასრულოს დავალება. ამ სიახლემ უკვე გააჩინა გარკვეული შიში აბიტურიენტებში და ეჭვიც, რომ ეს უცხო ენაში მაღალი ქულების მიღებას გაართულებს, თუმცა ამ მოსაზრებას არ იზიარებენ გამოცდების ეროვნულ ცენტრში:

მაია მიმინოშვილი გვარწმუნებს, რომ საწყის ეტაპზე, მოსმენითი ნაწილის ჩაბარება ძალიან მარტივი იქნება და ბარიერის გადალახვაზე ზეგავლენას არ მოახდენს — 100-ქულიან ტესტში მოსმენის ნაწილს მხოლოდ 8 ქულა დაეთმობა.

„ლაპარაკი და მოსმენა უმნიშვნელოვანესი კომპონენტებია უცხო ენის გამოცდაში, რომელიც აქამდე არ იყო. წელს მხოლოდ მოსმენის კომპონენტი დაემატება“, — აცხადებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი და დასძენს, რომ უცხო ენის გამოცდა, 2014 წლის ეროვნულ გამოცდებზე, სწორედ ამ კომპონენტით დაიწყება.

გარკვეული უკმაყოფილება აბიტურიენტების მშობლებმაც გამოთქვეს. „ვერსიასთან“ საუბრისას, მე-12 კლასელის დედა აცხადებს, რომ ეს სიახლე მას იძულებულს გახდის, შვილს რეპეტიტორი აუცილებლად დაუქირაოს, რადგან არ აქვს იმედი, რომ სკოლაში მიღებული განათლებით, აბიტურიენტები უცხო ენის მოსმენითი ნაწილის დაძლევას შეძლებენ. მაია მიმინოშვილი კი განმარტავს, რომ უცხო ენის გამოცდის მოსმენის ნაწილის რამდენიმე სამუშაო ვარიანტი, დისკებით სკოლებს აუცილებლად დაეგზავნება და ცენტრის ვებგვერდზეც განთავსდება. ასე რომ, აბიტურიენტებს ექნებათ საშუალება, წინასწარ გაეცნონ ტექსტებს.

გარდა ამისა, უკვე რამდენიმე წელია, საქართველოში მოქმედებს პროგრამა „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთვის“, რომლის ფარგლებში, ქვეყანაში არაერთი უცხოელი ჩამოვიდა მოსწავლეებისთვის ინგლისური ენის შესასწავლად. მათთან ურთიერთობა ბავშვებს შესაბამის უცხო ენაზე უწევთ, რაც უცხო ენის გამოცდის მოსმენითი ნაწილის ჩაბარებაში საგრძნობლად დაეხმარებათ.

მაია მიმინოშვილი აცხადებს, რომ აღნიშნული სიახლე გარკვეულ ლოჯისტიკურ ცვლილებებსაც მოითხოვს და ამის გამო, შესაძლოა, საგამოცდო ცენტრების რაოდენობაც გაიზარდოს.

2014 წელს ისევე, როგორც წელს, აბიტურიენტებს შეეძლებათ, განაცხადში მიუთითონ ყველა პროგრამა, რომელზეც მათ მიერ არჩეული გამოცდები ბარდება — არჩეული პროგრამების რაოდენობა შეზღუდული არ იქნება და აბიტურიენტები კვლავ შეძლებენ საბოლოო არჩევანის გაკეთებას ყველა გამოცდის შედეგის გაგების შემდეგ.

რაც შეეხება ლოჯისტიკურ ცვლილებას, თუ აქამდე საგამოცდო ცენტრების ნაწილი სპორტულ დარბაზებში იყო განთავსებული, მოსმენის კომპონენტის გავლის დროს, აბიტურიენტები ხმაურმა არ უნდა შეაწუხოს და შესაბამისად, მათ სხვა, უფრო მცირე საკლასო ოთახებში მოუწევთ გამოცდის ჩაბარება.

ინფლაციამ მოიმატა

ოქტომბერში ინფლაციის დონემ 1,5% შეადგინა, რაც თვეების მიხედვით, წელს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია (მაგალითად, ივლისში 1,3%-იანი დეფლაციაც კი დაფიქსირდა, რაც, ექსპერტების მოსაზრებით, არასასურველ ეკონომიკურ ეფექტს იწვევს).

ოქტომბრის ინფლაციის მაჩვენებელზე ძირითადი გავლენა ჯანდაცვის მომსახურების გაძვირებამ იქონია, სადაც ფასები 10,1%-ით გაიზარდა (ამ მხრივ, აღსანიშნავია საავადმყოფოების მომსახურება, რომელიც 37,7%-ით გაძვირდა).

1,5 პროცენტით გაიზარდა ფასები სურსათსა და უალკოჰოლო სასმელის ჯგუფზე, ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე — 5,6 პროცენტით; რძეზე, ყველსა და კვერცხზე — 3,3 პროცენტით; შაქარზე, ჯემსა და სხვა ტკბილეულზე — 2,7 პროცენტით.

ფასების 1,5-პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა წყალზე, ელექტროენერგიასა და აირზე, რაც ძირითადად, განაპირობა მყარი საწვავის 9 პროცენტით გაძვირებამ.

ფასების საერთო მატების მიუხედავად, ყოველწლიური ინფლაციის დონე კვლავ დაბალია და 0,2 პროცენტს შეადგენს. შარშანდელთან შედარებით, ალკოჰოლური სასმელისა და თამბაქოს ფასი 8,3 პროცენტით გაიზარდა, ჯანდაცვის მომსახურებისა კი — 3,2 პროცენტით. სამაგიეროდ, ტრანსპორტის მომსახურებაზე ფასები 3,5 პროცენტით შემცირდა.

BPN.GE

შსს-მ ბანგლადეშის ძებნილი მოქალაქე დააკავა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა 1975 წელს დაბადებული, თბილისში დროებით მცხოვრები ბანგლადეშის მოქალაქე ჯამალ ჰ. დააკავეს.

აღნიშნული პიროვნება თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ 2012 წლის 9 აპრილიდან სსსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის – ავტომანქანის ქურდობისთვის იძებნებოდა.

ამჟამად, დაკავებული სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულებაშია შესახლებული. გამოძიება ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით), რაც 4-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„ვერსიანიუსი“

ექსკლუზიური ინტერვიუ გენერალ კობა კობალაძესთან

მე-5 გვერდიდან

ესეც ალბათ მიზეზია, რომ თითოეული ჩვენგანი იმ პოტენციალის რეალიზებას ცდილობს, რომელიც გააჩნია, მაგრამ რატომღაც, შემართება დროთა განმავლობაში კურსს იცვლის და მოკარნახის პოზიციაში გადავდივართ. საქართველოს გენერალთა კლუბის შექმნა 2008 წლის აგვისტოს ომმა განაპირობა, რადგან დავინახეთ, რომ ძველ შეცდომებს ვიმეორებთ — მოგვდევს ემოცია, ვძერწავთ უარგუმენტაციო სახეებს მხედართმთავრებად, უარვყოფთ პრაქტიკასა და გამოცდილებას, დაგეგმარების გარეშე არასწორ სვლებს ვაკეთებთ და საფრთხეებს ვერ ვაფასებთ... ყოველივე ამან გადაგვაწყვეტინა მე და ჩემს მეგობრებს, ჩამოგვეყალიბებინა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მოგვცემდა საშუალებას, ჩვენი გამოცდილება არ დაკარგულიყო, ასევე გაგვეანალიზებინა ის საფრთხეები, რის წინაშეც შეიძლება დადგეს ქვეყანა. საკმაოდ საინტერესო გეოპოლიტიკურ ვითარებაში ვართ და აქედან გამომდინარე, ჩვენთვის მომგებიანია ბალანსის შენარჩუნება, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და მშვიდობიანი პროცესების წახალისება.

ერთ-ერთი პრობლემაა ყოფილი სამხედროების მოუმზადებლობა სამოქალაქო სექტორში გადასასვლელად და ამის გამო, ისინი დიდ წინააღმდეგობას აწყდებიან. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ ყოფილი სამხედროების ინტეგრირებას სამოქალაქო სექტორში. ჩვენმა ოფისმა ახლახან მოიპოვა USAID-ის გრანტი და პერსპექტივა, საზოგადოებას დავანახოთ ჩვენი სახე, ნელ-ნელა იზრდება.

— 2008 წლის აგვისტო ვახსენეთ... როგორია თქვენი, პროფესიონალი სამხედროს შეფასება?

— ვინმემ იგრძნო, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი 21-ე საუკუნის საქართველოსთვის დიდი ტრაგედია იყო? რით იგრძნო — რუსთაველის გამზირზე ტაშფანდურის გამართვით? მე, როგორც რიგითი ქართველი, დარწმუნებული ვარ —

> **2008 წლის აგვისტოს ფუძემდებლებმა ტერიტორიების გადაბარება ლამაზად შეფუთეს, რადგან ბრძოლისას, სახელმწიფოს წინააღმდეგობა აგრესორის მიმართ ვერ დავინახე, გარკვეული გმირული ეპიზოდების გარდა და ამ ბიჭების ქმედება გაცილებით დასაფასებელია — 21-ე საუკუნეში დიდგორისა და სპარტას მეომრები აღმოჩნდნენ საქართველოში, რომლებმაც დახმარების არარსებობის მიუხედავად, ბოლომდე იბრძოლეს! ამ დროს, რა გააკეთა ჩვენმა უმაღლესმა მთავარსარდალმა და სარდლობამ? — როდესაც იქ ჯერ კიდევ ბრძოლები მიმდინარეობდა, აქ ტაშფანდური და კონცერტები გამართა! კოდორის ხეობის, სამაჩაბლოს გმირი მოსახლეობაც უუნარო გახადეს და ამას დაუმატეს ახალი ადმინისტრაციული ერთეულები — ახალგორის რაიონი და ზემო აფხაზეთი... ნელ-ნელა, ეს ყველაფერი დავალაგეთ ხონჩაზე და გადავეცით, ეს პროცესი კი ყვირილით იყო აკომპანირებული თუ ტირილით, სხვა საკითხია. მთავარია შედეგი — ცივი გონებით თუ შევხედავთ, აღმოჩნდება, რომ ყველაფრის ლოგიკური დასასრული, ამ ეტაპზე, სამათხოვროდ გაწვდილი ხელით მდგარი ქვეყანა იყო!**

იქ ომი იყო, არადა, ვისაც ამ მხრივ გარკვეული ცოდნა და პრაქტიკა გვაქვს, პროცესებში ჩართულნი არ ვყოფილვართ და მხოლოდ საკუთარი ინიციატივით ვაკეთებდით რაღაცებს. მაინც გვჯეროდა, რომ ქვეყანას აქვს თავდაცვის სისტემა, დაგეგმარების მიმართება და ვცდილობდით, საერთო გეგმისთვის ხელი არ შეგვეშალა. ამბობენ, მთელი პირადი შემადგენლობა შემოარტყა გარშემო თბილისს მთავარსარდალმა, რათა დედაქალაქი დაეცვაო... ვის რაში სჭირდებოდა თბილისის აღება, ძალიან მაინტერესებს! რატომ უნდა ჰქონოდა ქვედანაყოფებს პრეზიდენტის რეზიდენციის დაცვის განკარგულება, როცა უპირველესად, სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები უნდა დაეცალათ და ევაკუაცია მართვის ობიექტებიდან უნდა განხორციელებულიყო. როცა თბილისის დაცვაზე ვსაუბრობთ, მე, როგორც ერთ-ერთმა რიგითმა თბილისელმა, რატომ არ ვიცოდი, საჭიროების შემთხვევაში სად მივსულიყავი და რა გამეკეთებინა? ასე იყო მოსახლეობის 99%. თუმცა, რაზე ვსაუბრობთ, როცა სამაჩაბლოსა და კოდორის ხეობის მშვიდობიანი მოსახლეობის საევაკუაციო გეგმებიც კი არ არსებობდა! ეს მტკივნეული თემაა, რომელიც ჩვენ თუ ვერ მოვახერხეთ, ჩვენი შვილების გამოსასწორებელი იქნება. ისინი კი გაცილებით რთულ ვითარებაში აღმოჩნდებიან. რეალურად, 2008 წლის მოვლენებმა ცხადყო, რა ვალდებულებები ჰქონდათ ამ ბავშვებს 2003 წელს. თუ არ ჰქონდათ ვალდებულებები, სულ მცირე, გულგრილობაზე უნდა დაინტერესდეს ვიღაც. არაერთხელ მოვითხოვეთ 2008 წლის მოვლენების გამოძიება, რადგან ეს პირადად მე კი არა, ქვეყანას, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს სჭირდება, რათა დაინახოს, რასთან ჰქონდა საქმე!

„მე და ჩემი ძმა დამოუკიდებელი ადამიანები ვართ და პოლიტიკურ შეხედულებებს ერთმანეთს თავს არ ვახვევთ“

ეროსუდან შელია
557-100-768

მომავალი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ, პრეზიდენტის აპარატში საგარეო პოლიტიკას გაუწევს კურირებას. ამბობს, რომ ამ მიმართულებით მთავრობასთან კოორდინაციის პირობებში, მნიშვნელოვანი ევროპული არჩევანის პარალელურად, რუსეთთან დაბალანსებული პოლიტიკის კურსს შეინარჩუნებს. უქმნის თუ არა უხერხულობას ფაქტი, რომ მისი ძმა მიხეილ მაჭავარიანი, ნაციონალური მოძრაობის წევრია და რა პრინციპით აკომპლექტებს გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტის ადმინისტრაციას, „ვერსია“ ვანო მაჭავარიანს ესაუბრა.

რას გააკეთებს ახალი პრეზიდენტის აპარატში ნაციონალის ძმა და როგორ დასახავ ვანო მაჭავარიანი ნიკა გილაურმა

— მომავალი პრეზიდენტის ადმინისტრაცია მთავრობასთან ერთად მჭიდრო თანამშრომლობას გეგმავს. საგარეო მიმართულებით ვითანამშრომლებთ როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, ისე ევროინტეგრაციის სახელმწიფო აპარატთან. რამდენად შეძლებს თავად მინისტრთა კაბინეტი ჩვენთან კოორდინაციას და საერთო მიზნისთვის ერთობლივად მუშაობას, მომავალში გამოჩნდება.

— ფიქრობთ, რეალურია რისკი, რომ მინისტრთა კაბინეტმა გიორგი მარგველაშვილის პოზიცია არ გაითვალისწინოს?

— რისკი, რამდენად სწორად შეაფასებენ ადამიანები იმ ინტელექტუალურ რესურსს, რაც გიორგი მარგველაშვილს გააჩნია, ყოველთვის არსებობს. გიორგიმ საკმაოდ წარმატებული გზა განვლო. ბუნებრივია, მთავრობასა და პრეზიდენტის აპარატს შორის ურთიერთობა დასახვეწი იქნება, რადგან რეალურად, ამ ერთი წლის განმავლობაში მსგავსი ურთიერთობა არ არსებობდა. სურვილის შემთხვევაში, ამ პრობლემის გადალახვა რთული არ იქნება, თანაც ვილნიუსის სამიტი გიორგი მარგველაშვილისთვის, როგორც სახელმწიფოს პირველი პირისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანია. ინაუგურაციის შემდეგ როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, ისე ეკონომიკის სამინისტროსა და ევროპასთან ინტეგრაციის სახელმწიფო აპარატთან მჭიდრო თანამშრომლობას ვგეგმავთ, რათა დღის წესრიგი და ტრიბუნაზე გამოსვლის აქცენტები ერთობლივად დავგეგმოთ. ასე რომ, საკმაოდ სერიოზული სამუშაო გველის და ვფიქრობ, გიორგი მარგველაშვილი ამ ვალდებულებას წარმატებით გაართმევს თავს.

— საზოგადოება და პოლიტიკური სპექტრი ვილნიუსის სამიტამდე რუსეთის მხრიდან გარკვეულ პროვოკაციებს ელის. უკვე განსაზღვრული გაქვთ ამ მიმართულებით სტრატეგიული მოქმედების გეგმა?

— ზოგადად, კრიზისიდან გამომდინარე, ევროპაშიც ბევრი პრობლემა დაგროვდა და შესაძლოა, ევროკავშირის გაფართოებასთან დაკავშირებით, კითხვები ევროპულ სახელმწიფოებშიც გაჩნდეს. ბუნებრივია, ამ მიმართულებით ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი რუსეთის განწყობაც იქნება, თუმცა ვფიქრობ, ჩვენი დაბალანსებული საგარეო პოლიტიკური კურსი ეფექტური გამოდგება. მაქსიმალურად გამოვიყენებთ საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობას იმისთვის, რომ ევროპასთან საქართველოს დაახლოების მიმართულებით რუსეთისთვის საფრთხეებზე საუბარი უსაფუძვლო გახდეს. რაც შეეხება პროვოკაციებს, ამ მიმართულებით უშიშროების საბჭო აქტიურად იმუშავებს. ჩვენი საგარეო პოლიტიკის ძირითადი ნაწილიც პრევენციაზე იქნება გათვლილი, რათა 2008 წლის მსგავსად, დაძაბულობის პიკი თავიდან ავიცილოთ. ომმა, რეალურად, ორივე მხარეზე ნეგატიურად იმოქმედა, ამიტომ რუსეთთან შეხების საერთო წერტილებს მოვძებნით. გასაგებია, რომ რუსეთს დიდი ამბიციები აქვს, მაგრამ 21-ე საუკუნეში სხვა ქვეყნის სუვერენიტეტიც უნდა დაიცვას.

— თქვენი საქმიანობის პრიორიტეტები გასაგებია, მაგრამ ის ფაქტი, რომ თქვენი ძმა მიხეილ მაჭავარიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერია, თქვენს საქმიანობაში ხელისშემშლელი ფაქტორი არ იქნება?

— საკმაოდ მარტივი ვითარებაა: მე და ჩემი ძმა დამოუკიდებელი ადამიანები ვართ. პირადად მე, ყოველთვის ვცდილობდი და ახლაც ვცდილობ ქვეყნის შიდაპოლიტიკაში არ ჩავერიო, რადგან ძირითად ინტერესს ჩემთვის საგარეო პოლიტიკა წარმოადგენს. თანაც საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით ჩვენს შორის სრული თანხვედრაა,

სხვა მხრივ, პოლიტიკურ შეფასებები განსხვავდება, მაგრამ ერთმანეთს თავს არ ვახვევთ.

გიორგი მარგველაშვილთან კი საკმაოდ ხანგრძლივი, როგორც მეგობრული, ისე საქმიანი ურთიერთობა მაკავშირებს. უნივერსიტეტში ერთად ვსწავლობდით და „ჯიპაშიც“ ერთად ვმუშაობდით.

— თუმცა მაშინ, როცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში შემოვიდა და თქვენ მის პარტიაში გაწევრიანება შემოგთავაზათ, უარი სწორედ იმის გამო უთხარით, რომ მიზანშეწონილად არ ჩათვალეთ ოპოზიციურ პარტიაში მოღვაწეობა მაშინ, როცა თქვენი ძმა სახელისუფლო პარტიის ლიდერი იყო.

— უარის მიზეზი მხოლოდ ეს არ ყოფილა... მაშინ ვფიქრობდი, რომ ჩემი რესურსი საერთაშორისო მიმართულებით უნდა გამომეყენებინა, პარტიის მშენებლობაში კი ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ ბევრად უკეთესი კადრები იყვნენ და ჩემი მუშაობა განსაკუთრებულ ცვლილებებს ვერ შეიტანდა. ბიძინა ივანიშვილს მაშინ სწორედ ასე დავშორდი და მუშაობა საერთაშორისო ინვესტიციების მიმართულებით გავაგრძელე. სხვათა შორის, ამის გამო მაშინ დავისაჯე კიდეც — საინვესტიციო ფონდის ხელმძღვანელმა ნიკა გილაურმა სამსახურიდან გამათავისუფლა. მოკლედ გეტყვით: დღეს ზუსტად იქ ვარ, სადაც უნდა ვიყო.

— ოპონენტები აპელირებენ, რომ გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტის ადმინისტრაციას მისი მეგობრებითა და „ჯიპას“ კადრებით აკომპლექტებს. თქვენც აღნიშნეთ, რომ მომავალ პრეზიდენტთან დიდი ხანია მეგობრობთ და ლექციებს „ჯიპაში“ კითხულობდით....

— ზუსტად ვიცი, რომ გიორგისთვის კადრების შერჩევისას, პირველ რიგში, ადამიანის პროფესიული უნარებია განმსაზღვრელი.

ზოგადად, გუნდური პრინციპი მნიშვნელოვანია, მაგრამ ნამდვილად ვერ გავიზიარებ ოპონენტების აზრს, რომ მომავალი პრეზიდენტის ირგვლივ მხოლოდ „ჯიპას“ კადრები შეიკრიბნენ. სხვათა შორის, „ჯიპა“ დავით ბაქრაძემაც დაამთავრა. დღეს ეს ადამიანი გიორგი მარგველაშვილის კომპეტენციაზე საუბრობს, არადა, წლების წინ სწორედ მისი მოსწავლე იყო. წინასაარჩევნო კამპანიაში გიორგი მარგველაშვილს ის ადამიანები ეხმარებოდნენ, რომლებსაც ენდობოდა. ბევრი მასთან უანგაროდ იყო და არც ერთ მათგანს არ აქვს პრეტენზია, რომ აუცილებლად პრეზიდენტის ადმინისტრაციაში უნდა დასაქმდეს.

ტურისტების რაოდენობა გაიზარდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი განაგრძობს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკური მონაცემების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას.

2013 წლის ოქტომბრის თვე 480 510 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2012 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 14,1%-ით მეტია.

რაც შეეხება მიმდინარე წლის იანვარ-ოქტომბრის ინტერვალს, ქვეყანაში უკვე 4 556 110 ვიზიტი განხორციელდა, რაც 23,7%-ით მეტია 2012 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე და უკვე გაასწრო 2012 სრული კალენდარული წლის მონაცემებს. ამასთან, შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, მონაცემები ასეთია: ტურისტი — 1 785 244 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 39,2%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 17,4%);

ტრანზიტი — 1 001 010 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 22%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 57,3%); სხვა — 1 769 856 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 38,8%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 15,8%).

2013 წლის ოქტომბერში საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (-10%), აზერბაიჯანიდან (+13,5%), სომხეთიდან (+34,3%), რუსეთიდან (+37%), უკრაინიდან (+58,6%) და ირანიდან (+26,7%) განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც ჩამომსვლელთა რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-ოქტომბერში, პოლონეთი-ჩეხეთი-ავსტრიასთან ერთად, კვლავ გამოირჩევა საფრანგეთი, იტალია და გერმანია (შესაბამისად: 70%, 34%, 27%, 20%, 17% და 17%), შუა აზიის ქვეყნებიდან — ყაზახეთის (39%), ახლო აღმოსავლეთიდან — ისრაელის (31%), ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან — ბელორუსის მოქალაქეები 61%-იანი მატებით.

სახელმწიფო საზღვრის კვეთასთან მიმართებაში, ცალკე აღსანიშნავია საქართველოს მოქალაქეთა აქტივობის ზრდაც, რაც მიმდინარე წლის პირველ 10 თვეში 22.4 (შემოსვლა) და 22.8 (გასვლა) პროცენტიან მატებაში გამოისახა.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ ნარკოდანაშაულისთვის თურქეთის ორი მოქალაქე დააკავა

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ღონისძიების შედეგად, თურქეთის რესპუბლიკის ორი მოქალაქე — 1977 წელს დაბადებული იუსუფ ბ. და 1991 წელს დაბადებული მურათ ქ. ნარკოდანაშაულის ბრალდებით ბათუმში დააკავეს.

სამართალდამცავებმა ბრალდებულების პირადი და დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი და „სუბოქსინის“ აბის 2 ნატეხი ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, სულ ამოღებულია 5,9 გრ ჰეროინი და 0,0066 გრ „ბუპრენორფინი“.

ნარკოლოგიურმა შემოწმებამ დაადგინა, რომ დაკავებისას მურათ ქ. ნარკოტიკული საშუალება ოპიუმისა და მარიხუანას ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

„მილსადენების ახალი ომის“ საფრთხე

ზურაბ გამრეკელი

ბოლო პერიოდში იგრძნობოდა დასავლეთს, ირანსა და რუსეთს შორის ინფრასტრუქტურული პროექტების სფეროში დაპირისპირების შემცირების ტენდენცია. კერძოდ, უკანასკნელ წლებში სულ უფრო ბევრი ექსპერტი საუბრობდა „მილსადენების ომის“ ნაცვლად, „მილსადენების ჰარმონიზაციაზე“, მაგრამ ამაწლის შემოდგომით ენერგობაზრებზე განვითარებულმა კონკურენტულმა დაპირისპირებამ კვლავ ენერგეტიკული „ცივი ომის“ სუსხი მოიტანა...

ირანის სატრანზიტო ამბიციები

ირანის ნავთობის სამინისტროს მაღალჩინოსნის, როქნოდინ ჯავადის სიტყვებით, ირანი დღიურად 100 მლნ დოლარს ზარალობს, რისი დაძლევაც ენერგოპროექტებში ყოველთვე 1 მლრდ დოლარის ინვესტირებით შეიძლება. გავლენიანი ინგლისური გაზეთის, Financial Times-ის ინფორმაციით, ირანის ახალი პრეზიდენტი ჰასან რუჰანი აპირებს, შეცვალოს უცხოურ ნავთობკომპანიებთან მუშაობის სქემა და ნავთობის სექტორში 100 მლრდ დოლარის უცხოური ინვესტიციები მოიზიდოს.

ამერიკის ადმინისტრაცია უკვე განიხილავს სანქციების გამო „გაყინული“ ირანული ფინანსური აქტივების ნაწილობრივ ბრუნვაში დაბრუნებას. ირანის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენელმა, აბოლფაზლ ჰეჯაზიმ განაცხადა, რომ მალე განახლდება ირანსა და აშშ-ს შორის 1979 წელს შეწყვეტილი ავიამიმოსვლა — ამერიკული ნიუ იორკი ირანის კუნძულ ქიშს დაუკავშირდება, რომელსაც თავისუფალი ეკონომიკური ზონის სტატუსი აქვს.

ირანული მხარის ინფორმაციით, ახლო მომავალში ძალიან გააქტიურდება ირანულ-იტალიური ეკონომიკური ურთიერთობები, რაც ირანსა და „ექვსეულს“ შორის ჩატარებულმა მოლაპარაკებებმა განაპირობა. ირანი აზერბაიჯანულ ბიზნესთან ურთიერთობების გაღრმავებითაცაა დაინტერესებული, – ეს განცხადება აზერბაიჯანში ირანის საელჩოს ეკონომიკური საკითხების მრჩეველმა გააკეთა. ამრიგად, ირანის ახალი მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტი საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენაა, რასაც რეგიონში შესაბამისი შედეგები უნდა მოჰყვეს.

ერთის მხრივ, ირანის სატრანზიტო შესაძლებლობებს კასპიისპირეთისა და ცენტრალური აზიისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ირანის მსხვილი საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო ხაზები უმოკლესი გზით აკავშირებს დასავლეთსა და აღმოსავლეთს. ამ გზით, შუა აზიასა და რუსეთს შეუძლიათ, სპარსეთის ყურის გავლით, მსოფლიო სავაჭრო მარშრუტებს დაუკავშირდნენ. მარშრუტს თურქმენეთიც აკვირდება — პრეზიდენტი ბერდიმუხამედოვი, ბალკანის ველაიათში ვიზიტისას, გაეცნო ბერეკეტ-ეტრეკის 325 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობას ყაზახეთ-თურქმენეთ-ირანის ტრანსნაციონალური „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ რკინიგზის პროექტის განხორციელების ფარგლებში; მეორეს მხრივ, რუსეთი გააქტიურებულია ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით, რასაც ადასტურებს ირანში, ერაყსა და სირიაში კრემლის წარმატებული პოლიტიკა და

ამის მკაფიო მაგალითია კრემლის ენერგოპოლიტიკა ამ რეგიონში. მიმდინარე წლის 31 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე აზერბაიჯანის ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, ირანის, რუსეთისა და აზერბაიჯანის ენერგეტიკის მინისტრები მოსკოვში, დსთ-ს ელექტროენერგეტიკული საბჭოს 44-ე სხდომაზე, ენერგეტიკის სფეროში სამმხრივი ურთიერთობების თემას განიხილავდნენ. სხდომაზე აღინიშნა, რომ აზერბაიჯანისა და რუსეთის ენერგოსისტემები ორი გადამცემი ხაზით – „დერბენტი“ (330 კვტ) და „იალამა“ (110 კვტ) უკვე დაკავშირებულია. თავის მხრივ, ენერგოგაცვლა აზერბაიჯანსა და ირანს შორის ხორციელდება ხაზებით „ფარსაბად-1“ (230 კვტ), „ფარსაბად-2“ (330 კვტ), „ასტარა“ (110 კვტ) და „ჯულფა/არაზი“ (132 კვტ). აზერბაიჯანის, რუსეთისა და ირანის ენერგოსისტემების სინქრონიზაცია ამ ქვეყნებს ელექტროენერგიის სამმხრივი გაცვლის საშუალებას მისცემს, ეს სისტემა რეგიონის სხვა ქვეყნების ჩართვის საშუალებასაც იძლევა.

ამავდროულად, რეგიონში ხორციელდება სინქრონიზაციის სხვა ელექტროენერგეტიკული პროექტიც. კერძოდ, საქართველო მესამე წელია ახორციელებს ელექტროენერგიის ექსპორტს ოთხივე მეზობელ ქვეყანაში: აზერბაიჯანში, სომხეთში, რუსეთსა და თურქეთში, განსაკუთრებით კი, ძვირი თურქული ბაზრის მიმართულებით აქტიურობს.

ევროკავშირის სამეზობლო ფონდისა და მსხვილი ევროპული საფინანსო ორგანიზაციების მხარდაჭერით ხორციელდება „შავი ზღვის რეგიონული გადამცემის“ პროექტი — ეს 500-კილოვატიანი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი დააკავშირებს ზესტაფონს, ახალციხესა და გარდაბანს, პარალელურად, ახალციხეში ახალი ქვესადგური აშენდება, რომელიც პირდაპირ დაუკავშირდება თურქეთის ართვინის პროვინციაში მდებარე ქალაქ ბორჩხის ქვესადგურს. ეს იქნება მეორე, ხუთჯერ მძლავრი ხაზი თურქეთის მიმართულებით, ვიდრე ბათუმი-ჰოფაა. ამ ქსელის შესაქმნელად აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს შორის აშენდება 400 და 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზები და დამონტაჟდება 700 მეგავატი მუდმივი დენის ჩანართი, ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდება არსებულ ინფრასტრუქტურას.

თურქეთში საბითუმო ტარიფი – 10-11 ამერიკული ცენტი კვტ/სთ-ზე — საქართველოზე ორჯერ მაღალია და, შესაბამისად, სწორედ თურქეთის მიმართულებითაა საჭირო ელექტროინფრასტრუქტურის განვითარება. მას შემდეგ, რაც ორივე ხაზი აშენდება, საქართველოსა და თურქეთს შორის გამტარუნარიანობა იქნება, დაახლოებით, 2 000 მეგავატი. თურქეთის გავლით, შესაძლებელი გახდება ელექტროენერგიის გაყიდვა სირიასა და ერაყში. ამასთან, თურქეთი 2011 წლის ბოლოდან შეუერთდა ერთიან ევროპულ ენერგოსისტემას და მას შემდეგ, რაც საქართველო-თურქეთს შორის უკვე იარსებებს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ახალი ხაზი, შესაძლებელი იქნება ჩვენი და აზერბაიჯანული ელექტროენერგიის გაყიდვა ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში, თუმცა აზერბაიჯანის რუსეთ-ირანის ქსელში ჩართვა „შავი ზღვის რეგიონული გადამცემის“ პროექტის თავდაპირველი სიმძლავრით განხორციელებას, სავარაუდოდ, საფრთხეს შეუქმნის. კონკურენცია ნახშირწყალბადების ტრანსპორტირებაშიც მწვავდება.

ახალი „მილსადენების ომის“ კონტურები

ირანის მარადიული ოცნებაა, შექმნას თურქეთისა და არაბეთის ქვეყნებისგან „დამოუკიდებელი“ კომუნიკაციის საშუალებები ევროპისკენ, ამ მიზანს კი ბოლო დროს დაემატა ახალი ამბიცია — ეს კომუნიკაციები რუსეთის გვერდისავლით განხორციელდეს. ამასთან ირანი, ნახშირწყალბადების ექსპორტზე დასავლეთის სანქციებისა და მზარდი ადგილობრივი მოპოვების პირობებში, სულ უფრო მეტად ინტერესდება თხევადი გაზის ახალი საექსპორტო მარშრუტებით. ამ მიზნით, თეირანი, 2013 წლის დეკემბერში, „გაზის ექსპორტიორი ქვეყნების ფორუმის“ (GECF) თეირანის სამიტზე აპირებს, დაამტკიცოს ამ „ფორუმის“ ახალი წესდება. ამ დოკუმენტით წევრ ქვეყნებს, „ოპეკ“-ის მსგავსად, შესაძლებლობა მიეცემათ, უკვე არა მარტო მილსადენებით, არამედ მონოპოლიური ფასთწარმოქმნით გააკონტროლონ გაზის გლობალურ ბაზარზე ბუნებრივი აირის მოპოვებისა და თხევადი ან დაჭირხლული აირის წარმოების ქვოტები და ფასები. ამით მოხდება „ფორუმის“ ტრანსფორმაცია „გაზის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციად“ (OGEC) ანუ „გაზ-ოპეკად“.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ თუ ბოლო 2-3 წელიწადში აშშ-ს „ფიქლების რევოლუციის“ გამო, დაისახა მონოპოლიურიდან თხევადი/დაჭირხლული გაზის (LNG/CNG) „სპოტურ“ ბაზარზე გადასვლის ტენდენცია, ახალი კარტელის, „ოჯეკ“-ის წარმოქმნა, ჩანასახში მყოფ გლობალურ გაზის ბაზარს კვლავ იმ მონოპოლიურ „ჭაობში“ დააბრუნებს, რომელიც „სპოტური“ ბაზრისა და ალტერნატიული ენერგეტიკის განვითარებას დიდ პრობლემებს შეუქმნის.

ასეთი კონკურენციის პირობებში, ირანს სირიის გავლით, თავისი ნახშირწყალბადების ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე მიტანის, ყატარისა და საუდის არაბეთის მსგავსი გეგმები აქვს, მაგრამ აქცენტს სირიის ახლანდელ კლანზე აკეთებს. სადამ ჰუსეინის მტრული რეჟიმის დამხობის შემდეგ, თეირანს მმართველი ნური ალ-მალიქის შიიტური მთავრობის იმედი გაუჩნდა, რათა ერაყის გავლით სირიაში გადაამისამართოს თავისი ნახშირწყალბადები, რითაც მას მსოფლიო ბაზარზე გასვლის პერსპექტივა ექმნება. ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე თავისი გაზის მიტანით ირანს უჩნდება შანსი, დასავლეთის სანქციების გაუქმებამდე, მესამე ან მეოთხე „ხელის“ შუამავლობით, მოახერხოს თავისი ენერგომატარებლების ევროპაში რეალიზებაა.

ამ მიზნით, ჯერ კიდევ 2011 წლის ივლისში, ირანს, ერაყსა და სირიას შორის გაფორმდა წლიურად 40 მლრდ კუბმეტრის სიმძლავრის, 10 მლრდ დოლარად ღირებული „მეგობრობის გაზსადენის“ მშენებლობის მემორანდუმი. სამმხრივ „ჩარჩო ხელშეკრულებას“ 2013 წლის თებერვლის ბოლოს მოეწერა ხელი.

ზემოაღნიშნული არგუმენტი ირანს ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის ისეთ მხარდამჭერად აქცევს, რომ თეირანი არ ერიდება, მას ღიად დაეხმაროს ფულით, მოხალისეებითა და პოლიტიკური მხარდაჭერით, თუმცა როდის დაიწყება „მეგობრობის გაზსადენის“ პროექტი, სირიაში მიმდინარე სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომის პირობებში, ჯერ გაურკვეველია. დაინტერესებული მხარეები სირიაში არსებული ვითარების საბოლოოდ გადაჭრას ელოდებიან. ამ დროს ჩრდილო-დასავლეთით ანუ სამხრეთ კავკასიის მარშრუტით, ირანული ექსპორტის მარშრუტების განვითარება, ჰასან რუჰანისთან ურთიერთობის გაუმჯობესების პირობებში, სრულიად შესაძლებელია.

თავის დროზე, სამხრეთ კავკასიაში დასავლური პროექტების განხორციელებას რუსეთმა ხელი ვერ შეუშალა, ამჟამად კი, რუსეთის ენერგეტიკულ ინტერესებს ამ რეგიონში ირანიც დაუპირისპირდება. საბაჟო კავშირში შესვლაზე ერევნის 2013 წლის 3 სექტემბერს მიღებული „გადაწყვეტილების“ შემდეგ, დასავლეთი უკვე გამორიცხავს სომხეთის გავლით ირანული გაზის ტრანზიტს და მის ტრანსპორტირებას აზერბაიჯანული მარშრუტით შეეცდება, რითიც ირანისა და სომხეთის (ანუ რუსეთის) თანამშრომლობას, სავარაუდოდ, გარკვეული ზიანი მიადგება. სწორედ ეს „შეფერხება“ უნდა გამოიყენონ დასავლურმა ენერგოკომპანიებმა.

PCI — „სამხრეთ გაზის დერეფნის“ დამატებითი სტიმული

სპეციალისტებმა ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯად ჩათვალეს ოქტომბერში, ევროკავშირის მიერ, 2014-2020 წლების „საერთო ინტერესის პროექტების“ (Projects of Common Interest, PCI) 250 კომპანიისგან შემდგარი სიის დამტკიცება. ამ სიაში, 100 კომპანია ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების, შენახვის, გათხევადების პროფილის საწარმოა. მათ შორის, იტალია-ალჟირის დამაკავშირებელი ახალი გაზსადენის გარდა, „არა ევროპისშიგა“ პროექტებს შორის, სპეციალური უპირატესობები გავრცელდება „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტებზე. კერძოდ, „ტრანსკასპიურ“ (TCGP), „ტრანსანატოლიურ“ (TANAP), „ტრანსადრიატიკულ“ (TAP), „ნაბუკოს“ და „თეთრი ნაკადის“ გაზსადენებზე. სხვათა შორის, „ტრანსკასპიური გაზსადენის“ (TCGP) პროექტი პირველადაა ნახსენები „დერეფნის“ პროექტებს შორის, ხოლო „ნაბუქო“, „შაჰდენიზის“ ტენდერში დამარცხების მიუხედავად, ისევ შესულია ამ ჩამონათვალში. პროექტებს ბრიუსელი მხარს დაუჭერს განხორციელების დაჩქარების და ნორმატიულ-პოლიტიკური დახმარების კუთხით, ასევე ამ კომპანიებზე ფინანსური მხარდაჭერის სახით, გაიცემა სპეციალური გრანტი ევროკავშირის ბიუჯეტიდან ხარჯების 50%-ის დასაფარად, კომპანიებს ექნებათ სქემები „ევროპის საინვესტიციო ბანკიდან“ (EIB) შეღავათიანი კრედიტების მისაღებად.

საინტერესოა, რომ ბრიუსელის აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან მოკლე დროში, ყაზახეთის „თენგიზშევროილმა“ ხელი მოაწერა შეთანხმებას BTC Co-სა და Cross Caspian Oil and Gas logistics-სთან, ყაზახეთიდან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ. ამავე გადაწყვეტილებას დაემთხვა ინფორმაცია თურქმენეთის მიერ კასპიის ახალი პორტის მშენებლობაში 2 მლრდ აშშ დოლარის დაბანდებაზე. კასპიაზე თურქმენეთის დაგეგმილი ახალი სავაჭრო პორტი, თანამედროვე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ძლიერი რგოლი გახდება. მისი მშენებლობის ვადაა 48 თვე (2017 წ). ამის შესახებ ინფორმაციას „როიტერი“ ავრცელებს. სააგენტოს ინფორმაციით, თურქმენეთის პრეზიდენტმა გურბანგული ბერდიმუხამედოვმა და თურქეთის პრემიერმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა პროექტის გახსნის ცერემონიაში მიიღეს მონაწილეობა. პროექტს თურქული ფირმა „გაპ ინსაათი“ (Gap Insaat) განახორციელებს. სხვათა შორის PCI სიაში ასახული ყველა პრიორიტეტული გაზსადენის პროექტი საქართველოზე გამავალ „სამხრეთკავკასიურ გაზსადენს“ (SCP) უკავშირდება, მაშინ, როდესაც PCI-ში არც ერთი რუსული პროექტი არ მოხვდა.

ამასთან, ახლა, როდესაც ბრიუსელმა „ტრანსკასპიური გაზსადენის“ პროექტი PCI სიაში ასახა, მისმა დამფუძნებლებმა შეესაძლოა დააჩქარონ საჭირო ფონდების მოძიება და მშენებლობის დაწყება. შემთხვევითი არ იყო ამ საკითხზე ევროპის ენერგოკომისრის, გიუნტერ ეტინგერის გამოხმაურება, როდესაც მან თურქმენეთს ამ საკითხზე დისკუდიის დაჩქარებისკენ მოუწოდა. „ტრანსკასპიური გაზსადენის“ პროექტის განხორციელების დაწყება ავტომატურად გამოიწვევს საქართველოზე გამავალი „სამხრეთკავკასიურ გაზსადენის“ (SCP) სიმძლავრის გაზრდასაც, რაც ჩვენი ქვეყნისთვის დამატებითი სამუშაო ადგილები და მრავალმილიონიანი ინვესტიციებია. ამავე დროს, „საერთო ინტერესის პროექტების“ სიაში სამხრეთკავკასიის მარშრუტების მქონე პროექტების ასახვა რუსული ენერგოგიგანტების მხრივ დაპირისპირების ანუ ახალი „მილსადენების ომის“ საფრთხეს ზრდის.

1. კუბის დედაქალაქი
2.ნუშისაგან დამზადებული იტალიური ლიქიორი
3. ვაზის მოკლედ აჭრ. წყვილმტევნიანი რქა
4. ნიკო ლომოურის მოთხრობა
5. ბოლშევიკთა ლეგენდარული კრეისერი
6. ქალთევზას სახელი დისნეის მულტფილმში
7. დიზისა და ბემოლის გასაუქმებელი ნიშანი
8. „აყვა-ვებულა არაგვზე ...“,
9. დაქირავებული კავალერი ცეკვაში
10. ლომების ოჯახი
11. ალასკას უდიდესი ტბა
12. რაიმე ნაგებობის ლითონის ჩონჩხი
13. ინდონეზიური ჯუჯა კამეჩი
14. ფრანგული ავტომარკა
15. ავსტრიელი პოეტი
16. კაზაკთა ჯარის უფროსი
17.ებრაელთა რეპატრიაცია ისტორიულ სამშობლოში
18. საზოგადოების რჩეული ნაწილი
19. გათავისუფლებული ყმა
20. შელის ნუკრი დისნეის მულტფილმში
21. რომან „კრაზანას“ ავტორი
22. წყალში ხსნადი საღებავი
23. ძველრომაელთა სამოსი
24. ცნობილი ფრანგი ოკეანოგრაფი
25. სოფელი სტეფანწმინდის რაიონში
26. ნოტიო და ჩახუ-რებული ფქვილი
27.იმპრესიონიზმის ფუძემდებელი
28. ცნობილი ლიტველი კალათბურთელი
29. გადაშენებული მორბენალი ფრინველი
30. ძვ. რუსული ოქროს ფული
31. „ელვისებუ-რიობი“
32. გოგოს მოსახსენიებელი დამცინავი სიტყვა
33. რეჟისორი ... ბესონი
34. რუსი მოჭადრაკე, მსოფლიოს ჩემპიონი
35. ძვ. სიგრძის საზომი ერთეული
36. მოსაოდნელი საფრთხე, საშიშროება
37. ვულკანური წარმოშობის მინა
38.იტალიის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
39. პაპ იოანე-პავლე II-ის ნამდვილი გვარი
40. შხამიანი გომბეშო
41. მსახიობი ... თურმანი
42.ცნობილი შვეიცარიელი მათემა-ტიკოსი
43. ზაფხულის პირველი თვე
44. იგივეა, რაც შუშა
45. ავსტრიის დედაქალაქი
46. გაზაფხულზე ნაპარსი მატყლი
47.კარლეს პუიოლის საფეხბურთო ამპლუა
48. ბიბლიური მოსეს ძმა
49. ყატარის დედაქალაქი
50. აზერბაიჯანის პირველი არჩეული (არაკომუნისტი) პრეზიდენტი
51. შოტლანდიური ნაგაზი
52. აშშ-ის კუნძულოვანი შტატი
53. ორიანი კამათელზე
54. მსახიობი ... ფარელი
55. ლევ ტოლსტოის „... კარენინა“
56. პენტოზური შაქარი
57. წმინდანის გამოსახულება
58.სამკუთხედის წვეროდან მოპირდაპირე გვერდის შუამდე გავლებული ხაზი
59. ჯულია რობერტსის პარტნიორი „ლამაზმანში“
60. მზის საგალობელი რაჭაში
61. ციხის ექთანი „თეთრ ბაირაღებში“
62. კაქტუსისებრთა ოჯახის მცენარე
63. საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა
64. ვოლტერ სკოტის ყველაზე ცნობილი და პოპულარული რომანი
65. ავტორი რომანისა „გარგანტუა და პანტაგრუელი“
66. წუთშესვენება ანუ ...-აუტი
67. ერთიიტალიურად
68. სოფელი წალენჯიხის რაიონში
69. მონღოლი დიდებული
70. უფლის მიერ შერისხული ერთ-ერთი ქალაქი
71. თავაზიანი მიმართვის ფორმა იაპონიაში
72.იაპონიის ყველაზე დიდი კუნძული
73. ქართული ანბანის ბოლო ასო
74.სპორტ. შეჯიბრების დაწყების მომენტი
75.ღმერთთა დედა ძველინდურ მითოლოგიაში
76. საძირკვლად დადებული გათლილი ძელი
77. ტრადიციული იტალიური ღვეზელი
78. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
79.თავაზიანი მიმართვა პოლონელი მამაკაცისადმი
80. მომღერალ ალსუს გვარი
81. ჰექტრის შემოკლებ. აღნიშვნა
82. მდინარე პარიზში
83. გოეთეს მშობლიური ქვეყანა
84. ვისიმე შესახებ შექმნილი შეხედულება; რეპუტაცია

მეუღლე — რეზო ქარჩხაძე; შვილები — როლანდ და ნინო ქარჩხაძეები; შვილიშვილები — ნათია, თამარ, თათია, ეთერ, თამარ და ნინო ქარჩხაძეები და ირაკლი გოგიბერიძე; და — ნათელა პატარიძე და ახლობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეთერ ვარლამის ასული პატარიძე

პანაშვიდი: 5,6 ნოემბერს 18:00 საათზე.
გამოსვენება: 7 ნოემბერს 15:00 საათზე.
მისამართი: ვანის რაიონი, სოფელი შუაგორა.

სათვალე ყავის მაგივრად

ავსტრალიელმა მეცნიერებმა ახალი გამოგონება Re-Timer წარმოადგინეს — ესაა სათვალე, რომელიც ადვილად გაუმკლავდება ცირკადული რიტმების ცვლას და ადამიანს სიმხნევეს შეუნარჩუნებს ზამთრის პერიოდში, როცა მზის შუქი ნაკლებია. Re-Timer თვალისთვის უსაფრთხო მწვანე შუქს ასხივებს, რომელსაც ტვინი მზის სხივად აღიქვამს და შედეგად, შინაგანი საათი ტყუვდება. ავსტრალიელი სწავლული ამ გამოგონებაზე თითქმის 25 წელი მუშაობდა. მისი მტკიცებით, თუ სათვალეს დილაობით გაიკეთებთ, ადვილად გამოფხიზლდებით. Re-Timer გარეგნულად მყვინთავის ნიღაბს ჰგავს, მისი ღირებულება 250 დოლარია, მთავარი ღირსება კი — იმ ადამიანების მხნედ ყოფნაა, ვისაც ზამთრის პერიოდში მზის სხივების ნაკლებობა აწუხებს.

ჰოროსკოპი 6 ნოემბერი

ვერძი — დღე უამრავ სასიამოვნო შთაბეჭდილებას ჰპირდება მათ, ვისაც არა მხოლოდ პროფესიული წარმატების სურვილი აქვს, არამედ მეგობრებთან შეხვედრისთვის დროის გამონახვაც ეოველთვის შეუძლია. დღეს სამსახური და პირადი ცხოვრება მჭიდრო კავშირშია.

კურო — წარმატებას თქვენი უნარის წყალობით მიაღწევთ, რაც უცნობ ვითარებაში ადვილად ორიენტირებას გულისხმობს. ნუ დისტანცირებით უინტერესო, მოსაწყენი საქმეებით. თქვენი ადგილი იქ არის, სადაც გამჭრიახობა და შემოქმედებითი მიდგომაა აუცილებელი.

ტყუპები — შანსი გაქვთ, შეგობრების წრეში დრო შესანიშნავად გაატაროთ, მაგრამ საორგანიზაციო საკითხების მოგვარება თავად მოგიწევთ. სამსახურის საქმე დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს, მხოლოდ თვალი მიადევნეთ, სხვები რას აკეთებენ და კარგ მაგალითს მიბაძეთ.

კირჩხიბი — სასიამოვნო დღეა, მშვიდი, ასაღლვებელი არაფერი გაქვთ, თუმცა რადაც ცვლილებები მაინც მოსალოდ-ნელია. შესაძლოა საქმიანი ურთიერთობა საეჭვო რეპუტაციის ადამიანებთან, თუმცა შედეგი მაინც სასიკეთო იქნება.

ლომი — მფლანგველობის გამო, გეგმების შეცვლა მოგიწევთ. შეეცადეთ, ამ მდგომარეობამ განწყობა არ გაგიფუჭოთ — პოზიტიური ტენდენციები იმდენად ძლიერია, რომ მხოლოდ ინტუიციას უნდა ენდოთ და წარმატებაც არ დააყოვნებს.

ქალწული — მოსაწყენი პერიოდი გელით. კარშემომყოფებთან ურთიერთობა გიჭირთ. შეეცადეთ, ახალი სფერო გამოძებნოთ: გაქვთ შანსი, წარმატებას მიაღწიოთ. ახლობლებთან ურთიერთობა მოთმინებას მოითხოვს.

სასწორი — წარმატება გელით კარიერაში, თუმცა მნიშვნელოვანია, კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოთ კოლეგებსა და ხელმძღვანელობასთან. თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი არც ისე მაღალია, ეცადეთ განიტვირთოთ.

ღრიანცალი — აღმოაჩენთ, რომ ყველაზე რთული უკან მოიტოვეთ, თუმცა ნუ მოდუნდებით, რადგან კიდევ დიდი ძალისხმევა გჭირდებათ დასახული მიზნის მისაღწევად. გადაწყვეტილებების მიღებისას, ენდეთ ინტუიციას.

მშვილდოსანი — საკმაოდ წარმატებული დღეა მათთვის, ვისაც პროფესიული ზრდის სურვილი აქვს. ემოციური ფონი სტაბილურია. კარგი ურთიერთობა გაქვთ ახლობლებსა და ნაცნობებთან.

თხის რქა — არც ერთი ამოცანა გადაუჭრელი არ დაგრჩებათ, არც ერთი წინააღმდეგობა — გადაულახავი. ეცადეთ, მარტომ არ იმოქმედოთ. დასკვნების გამოტანასაც ნუ იჩქარებთ. პირად ცხოვრებაში დღე მოულოდ-ნელობით აღსავსე იქნება.

მერწყული — საქმიანი ურთიერთობებისთვის წარმატებული დღეა. განსაკუთრებით მათ გაუმართლებს, ვინც მივლინებაში გაემგზავრება. აქტიური დასვენება კი სხვა დროისთვის გადადეთ.

თევზები — ახალი შესაძლებლობები გეხსნებათ, რომლითაც დაუფიქრებლად უნდა ისარგებლოთ. კოლეგები და უფროსობა თქვენს პროფესიონალიზმს აფასებენ. შეგიძლიათ ადვილად მოიპოვოთ მათი ნდობა, ვის მიმართაც გულგრილი არ ხართ.

ძსოფლიო მოგზაურმა მეკოლოდი დაამყარა

24 წლის ბრიტანელმა ჯეიმს ასკვიტმა პასპორტში მსოფლიოს ყველა ქვეყნის ვიზა მოაგროვა. მოგზაური აცხადებს, რომ მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა — მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ჩასვლა მოესწრო, ვიდრე 25 წელი შეუსრულდებოდა. მოგზაურობა 2008 წელს დაიწყო და პირველი ქვეყანა, სადაც ჩავიდა, ვიეტნამი გახლდათ — იქ ბრიტანელმა სამი თვე იცხოვრა, ხუთი თვე კანადასა და აშშ-ში დაჰყო, ამერიკა ალასკიდან ჰავაის კუნძულებამდე გადასერა და საბოლოოდ, მსოფლიოს გარშემო მოგზაურობაზე 200 ათასი დოლარი დახარჯა, თუმცა ხარჯი ნაწილობრივ აინაზღაურა კიდეც, რადგან ზოგიერთ ქვეყანაში ბარში მუშაობდა. ამჟამად ჯეიმსი შინაა, თუმცა აცხადებს, რომ მოგზაურობისადმი მისი ინტერესი ჯერ არ განელებულა: „აღფრთოვანებული ვარ ტაიტით, აღდგომის კუნძულითა და ანტარქტიდით, სადაც გაისად ვაპირებ გამგზავრებას“.

ასპირინი ანრომავებს?

ამერიკელი მეცნიერების მოსაზრებით, ის ადამიანები, ვინც რეგულარულად მოიხმარენ ასპირინს, უფრო ხშირად ხდებიან თვალის დაავადების — ბადურის ასაკობრივი დეგენერაციის მსხვერპლნი, რომელიც საბოლოოდ, სიბრმავეს იწვევს. სწავლულებმა ვისკონსინის უნივერსიტეტიდან ის პაციენტები გამოიკვლიეს, ვინც წლების განმავლობაში ასპირინს სისხლის გასათხელებლად სვამდა. შედეგად კი დაასკვნეს, რომ მათ მხედველობასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები ჰქონდათ.

შავი ლუდი ნივრისგან

იაპონურმა კომპანიამ პოპულარული მუქი ლუდისა და ნივრის მწვავე, ინტენსიური არომატის შერწყმა მოახდინა და შედეგად მიიღო საკმაოდ უჩვეულო სასმელი Aomori Garlic Black Beer. შავეტიკეტიან შავ შუშის ბოთლს ოქროსფერი წარწერა ამშვენებს, მისი ფასი კი 6,5 დოლარია. ამ ქაფიანი სასმელის დაგემოვნებისას, ნივრის არომატი თავიდან ფაქტობრივად შეუმჩნეველია, მაგრამ თანდათან გემო ძლიერდება. ვინც ერთხელ მაინც დააგემოვნა ეს უჩვეულო სასმელი, ირწმუნება, რომ ლუდის ჭეშმარიტი მოყვარულებისთვის ეს ნამდვილი აღმოჩენაა.

ფეხსაცმელზე ალერგია აქვს

მანჩესტერის მცხოვრები, 54 წლის ბრიტანელი ქალბატონი ცდილობს, მთავრობისგან დახმარება მიიღოს, რადგან ფეხსაცმელზე ალერგიის გამო ვერ მუშაობს. ადგილობრივმა ხელისუფლებამ კი დახმარება მოუხსნა, რადგან გამოკვლევებმა საპირისპირო დაადასტურა. როგორც ადგილობრივი მედია წერს, ოთხი შვილის დედა ტრეისი კენი 20 წლის წინ წამოვიდა სამსახურიდან, რადგან ირწმუნებოდა, რომ ალერგია ჰქონდა ფეხსაცმლის მტვერზე, წებოსა და ნებისმიერ მასალაზე. ამ წლების განმავლობაში ქალს შემწეობას უხდიდნენ, კვირაში 178 დოლარის ოდენობით და უამრავ უფასო მედიკამენტსაც იღებდა, თუმცა შარშან ჩატარებული გამოკვლევებით, დაადგინეს, რომ ტრეისის შეუძლია სამსახურში სიარული და დახმარება მოუხსნეს. არადა, ქალი ყოველდღიურად 20 აბს მაინც სვამს და ირწმუნება, რომ დამოუკიდებლად საჭმლის მომზადებაც არ შეუძლია, რადგან პროდუქტთან კონტაქტისას ხელები უსივდება.

ჰოროსკოპი 7 ნოემბერი

ვერძი — კარგი დღეა ცვლილებებისთვის როგორც პირად, ასევე საქმიან სფეროში. ვარსკვლავები მზად არიან, სასიამოვნო სიურპრიზებით გაგაოცონ. შეგიძლიათ რაიმე უჩვეულო, ორიგინალური ნივთი შეიძინოთ ან უკვე არსებული გადააკეთოთ, განაახლოთ. გულთან ახლოს ნუ მიიტანთ ყველაფერს, რაც თქვენს ირგვლივ ხდება.

კურო — შესაფერისი დროა ფინანსური საკითხების გადასაჭრელად. ფულს სწორად და აზრიანად ხარჯავთ. გარშემომყოფებთან ურთიერთობისას ნუ გამოავლენთ ჩვეულ სიხისტეს, რადგან ეს კონფლიქტს გამოიწვევს.

ტყუპები — შესაფერისი დღეა სერიოზული და საპასუხისმგებლო საქმისთვის, რაც თვითდისციპლინას მოითხოვს. საკმარისი უნარი და ცოდნა გაქვთ, რომ დასახული ამოცანა გადაჭრათ, თუმცა მოსალოდნელია სერიოზული უთანხმოება ახლობლებთან. თავი შეიკავეთ საეჭვოელი ადამიანის გაკრიტიკებისგან.

კირჩხიბი — საქმეს პასუხისმგებლობით ეკიდებით, იზრდება თქვენი ინტერესი ფილოსოფიისა და რელიგიის მიმართ. ადვილად იჩენთ ახალ ნაცნობებს. შესაძლოა მცირე ფინანსური დანაკარგი, წარუმატებელი შენაძენი ან საქმიანი გარიგება.

ლომი — რთული საქმეებით დაკავება მოგიწევთ, რასაც ბოლომდე მიიყვანთ, მაგრამ ამისთვის დიდი ძალისხმევაა საჭირო. დღის მეორე ნახევარი სასურველია, მშვიდ ვითარებაში დასვენებას დაუთმოთ. ორიგინალური იდეებიც გაგიჩაცებთ და შესაძლოა, ამან ყოველდღიური მოვალეობებიც დაგავიწყოთ.

ქალწული — ფინანსური პრობლემები ჩნდება და მოგიწევთ ხარჯების შემცირება, თუმცა ძალე, ვითარება უკე-თესობისკენ შეიცვლება — დღეს დადებული ხელშეკრულება შემოსავალს მოგიტანთ.

სასწორი — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის კარგი დღეა ოჯახური საქმეებისა და პრობლემების მოსაგვარებლად. ავეჯისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენა სიამოვნებას მოგგვრით.

ღრიანცალი — შესაშურ გამბედაობას ავლენთ. მისი წყალობით მოაგვარებთ საქმეებს, რასაც თქვენი კოლეგები ვერ ახერხებენ. კარგი დღეა ახალი იდეების რეალიზაციისთვის, სასარგებლოა ურთიერთობა გავლენიან ადამიანებთან, არის შანსი, ძლიერი მფარველი გაიჩინოთ.

მშვილდოსანი — პროფესიული გამარჯვება გელით. გაქვთ შანსი, კარიერულ კიბეზე ახვიდეთ. თქვენში ლიდერის თვისებები აშკარად გამოვლინდება. კარგი დღეა ბიზნესპროექტებზე სამუშაოდ.

თხის რქა — დაწყებულ საქმე წარმატებულად მოგეჩვენებათ, მაგრამ ნელ-ნელა ვითარება იცვლება და სადამოსკენ უკვე ცხადი გახდება, რომ ფორტუნამ არ მიგატოვა. პრობლემების გადასაჭრელად შეგიძლიათ დახმარებისთვის უფროსი ასაკის ადამიანებს მიმართოთ.

მერწყული — დღე საკმაოდ წარმატებულია, განსაკუთრებით, პირად ცხოვრებაში. კარგი ურთიერთობა გაქვთ გარშემომყოფებთან, აგვარებთ ბევრ პრობლემას, არ არის გამორიცხული ახალი რომანის დაწყებაც, რაც კარდი-ნალურად შეცვლის თქვენს ცხოვრებას.

თევზები — დღე უამრავ ახალ შესაძლებლობას გპირდებათ. საკმაოდ ენერგიული და გაბედული ხართ, შესაძლოა, თავი ძველმა ნაცნობებმა შეგახსენონ, ან საქმიანი ურთიერთობა აღადგინოთ დიდი ხნის პარტნიორებთან. დღე კარგია ნებისმიერი საქმიანობისთვის, რაც თქვენს შემოქმედებით პოტენციალს წარმოაჩენს.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲮᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

	9		3				6	5
		1			6			8
	6					4		3
	4		1		3			
1				8				2
			5		2		3	
6		8					5	
4			2			6		
9	5				1		2	

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

			8	9	2			
	2			3				4
9		6	1					
		8			3			
	3	5		7		4	8	
			6			7		
					1	8		7
4				8			6	
			9	6	5			

ᲠᲗᲣᲚᲘ

6			3		2			1
							7	
	4					9	2	6
5				7				8
	1		6		8		4	
3				1				9
4	6	1					9	
	5							
2			4		9			5

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	9			1	7			
5			4			9		
		3						
		7		8			2	4
	6	4				3	9	
8	3			6		7		
						1		
		6			3			7
			2	7			6	

ვაქცინა კორუფციის წინააღმდეგ

სიახლის ავტორი ვაქცინაციას, პირველ რიგში, გენერალური პროკურატურის თანამშრომლებს სთავაზობს. თუ აცრის შემდეგ ჩინოვნიკი გარდაიცვლება ან მძიმედ დაავადდება, ესე იგი, უიმედოდ კორუმპირებული იყო. ასეთი უჩვეულო წინადადებით ყაზახეთის მუსულმანთა კავშირს ალმა-ათელმა მეცნიერმა მიმართა. მისი თქმით, გამოგონება მსოფლიოში ამოძირკვავს კორუფციას. როგორც ადგილობრივმა მედიამ გაარკვია, ამ ანტიკორუფციულ წამალს საფუძვლად პაპილომა-ვირუსის ვაქცინა უდევს, რომელსაც ახლა აქტიურად უწევენ რეკლამას ყაზახეთში, სწავლული აცხადებს, რომ ახალი პრეპარატის ეფექტურობა საკმაოდ მაღალია. ყაზახი მეცნიერი აპირებს, ახალი ანტიკორუფციული საშუალება მსოფლიოს გააცნოს და ნობელის პრემიაც მოითხოვოს მედიცინის დარგში.

ხელების დაბანა თავდაჯერებას მატებს

გერმანელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ხელების დაბანა ადამიანს ეჭვებისგან ათავისუფლებს. კიოლნის უნივერსიტეტის ფსიქოლოგების მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტში 98 მოხალისე მონაწილეობდა, რომელთაც რამდენიმე დავალება უნდა შეესრულებინათ. პირველი ამოცანის შესრულების შანსი, ფაქტობრივად, არ არსებობდა, მაგრამ ისინი, ვინც წარუმატებლობის შემდეგ ხელებს იბანდა, ბევრად ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი. აქედან გამომდინარე, ფსიქოლოგებმა დაასკვნეს, რომ ხელების დაბანა უსიამოვნო შთაბეჭდილებებისა და მოგონებების „წაშლის“ საშუალებას იძლევა, თუმცა აქვეითებს მოტივაციას.

სიყვარული ჯანმრთელობას ვნებს

მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ სიყვარული, შესაძლოა, ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში იყოს და ამ ფაქტორს სამედიცინო მტკიცებულებებიც მოუძებნეს. ექსპერიმენტები ამტკიცებს, რომ შეყვარებული ადამიანის ორგანიზმში სერიოზული უარყოფითი ცვლილებები ხდება, რაც ძლიერი სტრესითაა განპირობებული და შედეგად, ორგანიზმის დამცავი რესურსი სუსტდება. სწავლულები ამბობენ, რომ შეყვარებული ადამიანისთვის დამახასიათებელია თვალის გუგების გაფართოება, ხელისგულების ოფლიანობა, გახშირებული გუსლიცემა, სისხლში გამოიყოფა დიდი რაოდენობით ადრენალინი, რაც ნეგატიურად მოქმედებს ორგანიზმზე. ექსპერტები ირწმუნებიან, რომ სიყვარული იმ დაავადებების ანალოგიურია, რომელსაც სტრესული გარემოებები განაპირობებს.

ხანძრისას ლუდის ბოთლები ქადაიპრინა

აშშ-ში, ჯორჯიის შტატში მცხოვრები მამაკაცი ცეცხლმოკიდებულ სახლში ლუდის სავსე ბოთლების გადასარჩენად შევარდა. პოლიციის განცხადებით, ხანძრის მიზეზი წყლის გამაცხელებელი გახდა. უოლტერ სერპიტი და მისი შვიდსულიანი ოჯახი ტელევიზორს უყურებდა, როცა ოთახი კვამლით აივსო. უოლტერმა ცეცხლს მცირეწლოვანი შვილები და ხანდაზმული მშობლები გაარიდა, სამშვიდობოს მათი გაყვანის შემდეგ კი ცეცხლმოკიდებულ სახლში შევარდა და იქიდან ლუდის ბოთლები გამოიტანა. მოგვიანებით მამაკაცმა პოლიციას განუცხადა, რომ ამ გაუაზრებელი საქციელით თავი საფრთხეში ჩაიგდო, რადგან სახლში შესულს კარი ჩაეკეტა, მაგრამ საბედნიეროდ, არაფერი დაშავებია.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

1	4	3	2	9	8	7	6	5
2	6	9	7	5	4	3	1	8
8	5	7	1	6	3	9	4	2
5	1	4	6	3	9	8	2	7
9	8	2	5	4	7	1	3	6
3	7	6	8	2	1	5	9	4
7	3	5	4	1	6	2	8	9
6	2	1	9	8	5	4	7	3
4	9	8	3	7	2	6	5	1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

1	5	8	7	6	4	9	3	2
9	2	4	5	1	3	8	7	6
7	6	3	2	9	8	5	4	1
2	4	1	9	7	6	3	8	5
6	3	5	8	4	2	1	9	7
8	9	7	1	3	5	6	2	4
3	8	2	6	5	7	4	1	9
4	1	6	3	2	9	7	5	8
5	7	9	4	8	1	2	6	3

ᲠᲗᲣᲚᲘ

1	4	9	3	2	6	8	7	5
5	7	8	4	1	9	6	3	2
2	6	3	5	8	7	4	1	9
6	9	7	2	4	5	3	8	1
8	2	1	9	7	3	5	6	4
4	3	5	8	6	1	2	9	7
3	5	2	7	9	8	1	4	6
9	8	6	1	5	4	7	2	3
7	1	4	6	3	2	9	5	8

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

5	2	4	6	3	9	7	8	1
3	1	9	8	7	5	4	2	6
8	7	6	4	2	1	5	3	9
2	5	3	1	9	8	6	7	4
9	8	1	7	6	4	3	5	2
6	4	7	2	5	3	1	9	8
1	6	5	3	8	2	9	4	7
7	9	8	5	4	6	2	1	3
4	3	2	9	1	7	8	6	5

მე-9 გვერდი: 1. სეკუნდა; 2. ფალიაშვილი; 3. იდიოტია; 4. შეიკერი; 5. კავკასიონი; 6. ნარჩიტა; 7. ალიდადა; 8. ზმნა; 9. მტკაველი; 10. იდიომი; 11. კვართი; 12. რელე; 13. ამირა; 14. ვესპუჩი; 15. მტლე; 16. ია; 17. პანაცეა; 18. ტესი; 19. ვატი; 20. კაპი; 21. გრიბოედოვი; 22. ოსანა; 23. ზურაბი; 24. აზალია; 25. სკა; 26. პარდონ; 27. ბაო; 28. ვანგა; 29. პირამიდა; 30. რაქიტი; 31. ჩრჩილი; 32. ფრე; 33. უპე; 34. ინდრა; 35. ბის; 36. ლოცია; 37. რიქშა; 38. ნიორი; 39. ობჩა; 40. იტი; 41. ტოტია; 42. ანატოლი; 43. აბებე; 44. ისიკავა; 45. ზოლა; 46. აბგა; 47. ეოსი; 48. მიტრა; 49. რედიკიული; 50. სტოა; 51. ორეადა; 52. ედო; 53. სოლ; 54. ბრიზი; 55. დინგი; 56. სოს; 57. კაკა; 58. იარა; 59. „ევიტა“; 60. სალბი; 61. ადათი; 62. რაბი; 63. არილი; 64. ტაიგა; 65. ალოე; 66. სამორინე; 67. მარგო; 68. ელ; 69. ურდუ; 70. ვაზი; 71. ყბა; 72. „გზა“; 73. მნე; 74. პი; 75. ლაოსი; 76. ზერო; 77. ლარისა; 78. რტო; 79. ბისერი; 80. ბილბაო; 81. ალო; 82. ბალასტი; 83. ასუ; 84. მორტალე; 85. რითმა; 86. პროზა; 87. პელე.

მე-12 გვერდი: 1. სტერეომეტრია; 2. ბარაკუდა; 3. სკოჩი; 4. ეკონომიკა; 5. ეკუმენიზმი; 6. მოურავი; 7. ბილირუბინი; 8. რიკოშეტი; 9. კატერი; 10. დარი; 11. ჰონოლულუ; 12. როლი; 13. გედი; 14. ალეგორია; 15. ლოკატორი; 16. აფიშა; 17. ილიამნა; 18. აგუტინი; 19. გალიფე; 20. აბაი; 21. ნემო; 22. რიშარი; 23. იდილია; 24. ნოივილი; 25. ტრანში; 26. პაპაია; 27. ბზიკი; 28. გრემი; 29. ბატი; 30. კაა; 31. აორტა; 32. ბივა; 33. სილიო; 34. გვირილა; 35. ენია; 36. მოა; 37. ნაქი; 38. ვაზა; 39. იანძი; 40. სტივ; 41. პონი; 42. ბისტი; 43. რუბლი; 44. აბე; 45. ოტავა; 46. ნანი; 47. ბიზე; 48. იუდაშკინი; 49. ჩაო; 50. ფახლავა; 51. კარაველა; 52. იმპალა; 53. დანაე; 54. კაკო; 55. აქტი; 56. მალტა; 57. პო; 58. კვერნა; 59. ანა; 60. ოფი.



1. ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი
2. სამთა კავშირი ძვ. რომში
3. მაკედონიის დედაქალაქი
4. ტბა სომხეთში
5. ომის ღმერთი ბერძნულ მითოლოგ.
6. სპორტული ორშიდი
7. (ძვ.) ალეგორ. იგავები ცხოველთა შესახებ
8. ოფელიას ძმა „ჰამლეტში“
9. აქილევსის მეგობარი
10. ამერიკელთა დამცინავი მეტსახელი
11. მღვდლის სამოსელის ნაწილი
12. ოკეანეში მცურავი ყინულის მთა
13. ქალაქი ირანში
14. დანელიას ფილმი „... იდარდო“
15. ავსტრალიური სირაქლემა
16. პერიკლეს მეგობარი და ცოლი
17. ფორმულა 1-ის ხელმძღვანელი
18. ლითონის თხელი ფურცელი
19. ძვ. ბრაზილიელი ფეხბურთელი
20. ესკიმოსთა ყინულის ქოხი
21. ბიბლიური პერსონაჟი
22. მშვიდი საუბარი
23. ფეხბურთელი ... კლინსმანი
24. ფაშისტთა სამხედრო დაზვერვა
25. ავსტრიელი ფსიქოთერაპევტი
26. „ადგილობრივი“ მცენარე
27. იაპონელი დიზაინერი
28. პატარა მდინარე
29. მთელი ეკიპაჟის მუშაობა გემზე
30. ... იოსელიანი
31. უფლტ. სიგარეტი
32. ძვ. ლოდსატყორცნი მანქანა
33. ბედუინის მოსასხამი
34. ტბა ჩრდ. ამერიკაში
35. ფრედი მერკურის ნამდვილი გვარი
36. ბულგარული არაყი
37. ჩქარი ტემპი მუსიკაში
38. ბების როლის შემსრულებელი „ბინძურ ცეკვებში“
39. მკურნალობის ღმერთი ბერძნ.მით.
40. ყველაზე დიდი კონტინენტი
41. ბურატინოს მამილო
42. გალაკტიონის მუზა
43. შუმერთა უზენაესი ღმერთი
44. ვაჭრების მეთაური „ვეფხისტყ.“
45. იგივე ამონიუმქლორიდი
46. მდინარე ბერლინში
47. 1121 წ. 12.08 ბრძოლის ადგილი
48. შესაკაზმი მწვანილი
49. ჰოლივ. მსახიობი და მომღერალი
50. პათოსით წარმოთქმული ფრაზა
51. სოფ. სენაკის რაიონში
52. „ალქიმიკოსის“ ავტორი
53. მწვანილის შეკვრა
54. რუსული ხალხური თქმულება
55. ღამის ფრინველი
56. რაიმე ბრტყელი საგნის ნაპირი
57. მუს. გამის III ნოტი
58. მაჰმადიანთა მღვდელი
59. ერთეულთა საერთაშორ. სისტემა
60. იგივე აჩრდილი
61. სპეციალური მარხილით მთიდან ჩქარული დაშვების სახეობა
62. უხუცესთა საბჭო ძვ. საბერძნ.
63. იაპონური შაში
64. ცხენების ჯოგი

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

შინდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანფანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგინიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.